

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი

ევროკავშირის მიერ კერძო სექტორის მხარდაჭერა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების ჩათვლით

შემაჯამებელი ანგარიში - საქართველო

პროექტის No. 2014/ 345014 - ვერსია 1



This project is funded by
The European Commission



Proudly Incorporating HTSPE

A project implemented by
DAI Europe



DAI Europe/ DAI ევროპა
თემზფილდ ჰაუზი
ბაუნდარი უეი
ჰემელ ჰემპსტედი
ჰერცი HP2 7SR
გაერთიანებული სამეფო
ტელ: **+44 (0) 1442 202400**
ფაქსი: **+44 (0) 1442 266438**
ელ. ფოსტა: dai@dai.com
ვებ-გვერდი: www.dai.com



S.A. Sopex N.V./სოპექსი
გენერალ ლემანსტრაატ, 74
2600 ანტვერპენი
ბელგია
ტელ : **03 285 39 88**
ფაქსი : **03 285 39 96**
ელ. ფოსტა : sopex@sopex.be
ვებ-გვერდი: www.sopex.be

ეს დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ DAI-ს აკისრია და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც ევროკავშირის მოსაზრებების ამსახველი.

(5014102)

სარჩევი

1	შესავალი.....	1
1.1	მცირე და საშუალო საწარმოების/ბიზნესების განსაზღვრებები.....	1
1.2	მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორი საქართველოში.....	1
2	გავლენასთან დაკავშირებული საკითხები და მისი მასშტაბები.....	6
2.1	AA/DCFTA-ის იმ ძირითადი დებულებების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას იქონიებენ ბიზნესზე.....	6
2.2	ფაქტობრივი და პოტენციური მონაცემების შედარებითი ანალიზი/GAP ANALYSIS.....	7
3	კვლევის შედეგები.....	11
3.1	მცირე და საშუალო ბიზნესების კვლევის შედეგები.....	11
3.2	ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და პროექტების გამოკითხვა/კვლევა.....	15
3.3	ფინანსური ინსტიტუტების გამოკითხვა/კვლევა.....	17
4	ძირითადი მიგნებები.....	19
4.1	მცირე და საშუალო საწარმოების შეცვლილ ბიზნეს წესებთან შესაბამისობის საჭიროებები AA/DCFTA-ის განხორციელების დროს.....	19
4.2	ცვლილებების მასშტაბი და გავრცელების არეალი.....	20
4.3	AA/DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის საჭირო რესურსები და შესაძლებლობები/სიმძლავრეები.....	22
5	რეკომენდაციები.....	25
	სტრატეგია 1: ინფორმირებულობა.....	25
	სტრატეგია 2: ნოუ ჰაუ.....	25
	სტრატეგია 3: ინვესტიციების ფინანსური სახსრები.....	26
	სტრატეგია 4: სერტიფიცირების და ნებართვების მიღების/დამტკიცების მხარდაჭერა.....	27
	დანართი: კვლევების შედეგები.....	28
	დანართი 1: მცირე და საშუალო ბიზნესების კვლევების შედეგები.....	28
	დანართი 2: ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და პროექტების გამოკითხვა/კვლევა.....	34
	დანართი 3: ფინანსური ინსტიტუტების გამოკითხვა/კვლევა.....	40

ცხრილები

ცხრილი 1	მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრება საქართველოში.....	1
ცხრილი 2	საქართველოს ეკონომიკის მთავარი სექტორები/დარგები 2014 წელს.....	3
ცხრილი 3	საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორის პროფილი.....	4
ცხრილი 4	მცირე და საშუალო ბიზნესების აქტივობა სექტორის მიხედვით.....	4
ცხრილი 5	მცირე და საშუალო საწარმოების გეოგრაფიული განაწილება (მათი რიცხვი).....	5
ცხრილი 6	გამოკითხული BSO და BSP ორგანიზაციები.....	15
ცხრილი 7	გამოკითხული BSO და BSP ორგანიზაციები.....	34
ცხრილი 8	მცირე და საშუალო ბიზნესების დახმარების საჭიროებები, გამოკითხული ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების თანახმად.....	35

1 შესავალი

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა უზრუნველყოფს პრივილეგირებულ ურთიერთობას, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირის საერთო ღირებულებებს, როგორცაა დემოკრატია და ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, ძლიერი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება. ამ უფრო ვრცელი პოლიტიკის ფარგლებში ასოცირების ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ხელშეკრულებებს, წარმოადგენენ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (FTA) ახალ თაობას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა მარეგულირებელი და საზღვრებს მიღმა არსებული საკითხების შესახებ მოლაპარაკებები, რასაც არ ითვალისწინებს ტრადიციული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები.

ასოცირების ხელშეკრულების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (AA/DCFTAs) შესახებ მოლაპარაკებები უკრაინაში 2009 წელს დაიწყო, რასაც მოჰყვა მოლდავეთი და საქართველო 2010 წელს. ასოცირების ხელშეკრულებას, DCFTA-ის ჩათვლით, ევროკავშირსა და საქართველოს და, ევროკავშირსა და მოლდავეთს შორის ხელი 2014 წლის ივნისში მოეწერა ბრიუსელში. ეს ხელშეკრულებები პირობითად ძალაში 2014 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა.

ამ ანგარიშში წარმოდგენილია კერძო სექტორის მიმართ ევროკავშირის დახმარების კვლევის მიგნებების დეტალები, DCFTA-ის მომცველი ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს საქართველოში, მოლდავეთსა და უკრაინაში ახლად ხელმოწერილ ხელშეკრულებებს. უფრო დეტალური ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ ძირითად ანგარიშში, რომელიც ამ ანგარიშთან ერთად უნდა იქნას წაკითხული.

1.1 მცირე და საშუალო საწარმოების/ბიზნესების განსაზღვრებები

ევროკომისიის მხარდაჭერა მიმართული იქნება მცირე და საშუალო საწარმოების დასახმარებლად. კვლევისა და ანალიზის ეტაპზე გამოყენებული იქნება ევროკავშირის განსაზღვრება, შეუძლებელია ეროვნული სტატისტიკის განსხვავება მსხვილ ფირმებს შორის, როგორც ეს ქვეყნის შიგნით არის განსაზღვრული, და საშუალო ფირმებს შორის, როგორც ეს ევროკავშირის მიერ არის განსაზღვრული. შედეგად, ამ ანგარიშში, ეროვნული მონაცემების ხსენებისას, ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ თითოეულ ქვეყანაში უფრო მეტად გავრცელებული/ გამოყენებული განსაზღვრება:

ცხრილი 1 მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრება საქართველოში ¹

ინდიკატორი	თანამშრომლები	ბრუნვა ²
მსხვილი	>100	>€ 660,000
საშუალო	20-100	€ 220,000 – € 660,000
მცირე	<20	<€ 220,000

1.2 მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორი საქართველოში

საქართველოში ამჟამად ფიქსირდება შედარებით მაღალი ზრდის მაჩვენებელი, 2010 წლიდან მშპ-ს საშუალოდ 6.2%-იანი ზრდით (თუმცა აღინიშნა კლება ზრდის მაჩვენებელში 2013 წელს 3.3%-მდე 7.2% -თან შედარებით 2011 წელს). ზრდის პროგნოზი 2015 წელს 2.0%-ს შეადგენს.

2014 წელს, საბითუმო და საცალო სექტორების შემდეგ (17,4%), გადამამუშავებელი მრეწველობა ეკონომიკაში ეკონომიკური აქტივობის ყველაზე მსხვილი სექტორია, წარმოადგენს რა მშპ-ს 10,6%,

¹http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=1490&lang=eng

² გამოყენებულია 2013 წლის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი: 1 ევრო – 2,28 ლარი

სოფლის მეურნეობის 9,2%-თან შედარებით. სხვა მნიშვნელოვანი სექტორებია ტრანსპორტი (7,7%), მშენებლობა (7,3%), უძრავი ქონება (6,0%) და კომუნიკაცია (2,9%).

ცხრილი 2 საქართველოს ეკონომიკის მთავარი სექტორები/დარგები 2014 წელს

ეკონომიკის დარგები	დარგის % წვლილი მშპ-ში ³
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების, მოტოციკლეტების, პირადი და საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთება	17,4
ვაჭრობა	17,4
გადამამუშავებელი მრეწველობა	10,6
სახელმწიფო მართვა	9,9
სოფლის მეურნეობა	9,2
ტრანსპორტი	7,7
მშენებლობა	7,3
უძრავი ქონება	6,0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	5,7
განათლება	5,0
სხვა საზოგადოებრივი, სოციალური და პირადი მომსახურების აქტივობები	4,3

2015 წლის მონაცემებით, მთლიანი დასაქმება ბიზნესში (მთავრობის გამოკლებით) 545,374-ს შეადგენს, საიდანაც 133,602 დასაქმებულია საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, 105,536 - მრეწველობაში, 9,560 - სოფლის მეურნეობაში, 57,340 - ტრანსპორტსა და კომუნიკაციაში და 54,211 - მშენებლობაში. 2014 წელს, უმუშევრობა საქართველოში სულ სამუშაო ძალის დაახლოებით 12,4%-ს შეადგენს.

2014 წელს საქართველოს €3.7 მილიარდის ოდენობის⁴ (ან მშპ-ს 31%) მნიშვნელოვანი სავაჭრო დეფიციტი აღენიშნება, სულ ექსპორტი - €2.15 მილიარდი, ხოლო იმპორტი - €6,46 მილიარდი. ევროკავშირი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია, სადაც ექსპორტი 21.7%-ს და საიდანაც იმპორტი 27.6%-ს შეადგენს⁵. სხვა სავაჭრო პარტნიორებია: აზერბაიჯანი (19%), სომხეთი (10%), რუსეთი (9.6%), თურქეთი (8.4%), აშშ (7.3%), ბულგარეთი (5.7%), უკრაინა (4.9%) და; იმპორტის წყარო ქვეყნები - თურქეთი (20%), ჩინეთი (8.5%), აზერბაიჯანი (7.4%), რუსეთი (6.7%), უკრაინა (6.4), გერმანია (5.4%), იაპონია (4.3%).

საქართველოს ძირითად ექსპორტს შეადგენს (4 ნიშნა HS კოდი): ავტომობილები (18.1%), ფერო-შენადნობები (10%), სპილენძის მადნეული და კონცენტრატები (8.7%), თხილი (6.4%), ღვინო (6.3%) მინერალური და ქიმიური სასუქები, ნიტროგენები (4.8%), წყლები, ბუნებრივი ან ხელოვნური მინერალური ან გაზიანი წყალი (4.8%)⁶. ძირითადი ექსპორტი ევროკავშირში⁷: ბუნებრივი საწვავი, ზეთები, გამოხდილი პროდუქტი (31%), მადნეული, წიდა და ნაცარი (10%), ღვინო (23%), თხილი (23%), ხილის და ბოსტნეულის წვენი (113%), მინერალური წყლები (31%). 2014 წელს, ექსპორტი ევროკავშირში 2%-ით 2013 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, და 161.34%-ით - 2009 წელთან შედარებით.

2014 წელს, საქართველოს ძირითად იმპორტს (4 ნიშნა HS კოდი) შეადგენდა: ნავთობი და ნავთობზეთები (10.7%), ავტომობილები (8.3%), აირები/საწვავი და სხვა (4.3%), მედიკამენტები (3.7%), მობილური ან სხვა უსადენო ტელეფონები (2.3%), სპილენძის მადნეული და კონცენტრატები (2%), ხორბალი (1.8%), სიგარეტი (1.3%).

ცხრილში 3 ნაჩვენებია საწარმოების რაოდენობა ზომის, მშპ-ში წვლილისა და დასაქმების მიხედვით:

³ www.geostat.ge

⁴ 1 ევრო - 1,33 აშშ დოლარი (<https://www.ecb.europa.eu/home/html/index.en.html>)

⁵ 2014 წელს

⁶ 2014 წელს

⁷ 2013 წლის მონაცემები

ცხრილი 3 საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორის პროფილი

ინდიკატორი	მსხვილი	საშუალო	მცირე
საწარმოთა No. (2014) ⁸	3,593	5,427	50,539
წარმოებულ პროდუქციაში შეტანილი წვლილი (2012) ⁹	81%	8%	11%
დასაქმების No.	321,185	71,199	98,715

ცხრილში 4 მოცემულია მცირე და საშუალო ბიზნესების აქტივობა სექტორის მიხედვით და გვიჩვენებს მათ მონაწილეობას ეკონომიკაში. ღირებულებით, მცირე და საშუალო ბიზნესები ყველაზე აქტიური არიან მრეწველობაში (€348 მილიონი), უძრავ ქონებაში/ბიზნეს მომსახურებაში (€145 მილიონი), საბითუმო/საცალო ვაჭრობაში (€86 მილიონი) და სასტუმრო/ტურიზმის ბიზნესში (€ 78 მილიონი). რაოდენობის მიხედვით, ყველაზე მსხვილი მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორებია საბითუმო/საცალო ვაჭრობა, უძრავი ქონება და მრეწველობა და; დასაქმების მიხედვით, საბითუმო/საცალო ვაჭრობა, უძრავი ქონება, მრეწველობა და მშენებლობა.

ცხრილი 4 მცირე და საშუალო ბიზნესების აქტივობა სექტორის მიხედვით

	მც. და საშ, ბიზნესების მიერ სექტორში შეტანილი წვლილის ღირებულება (€)	მც. და საშ, ბიზნესების წვლილი მთლიან სექტორში (%)	მც. და საშ, ბიზნესების No. სექტორში	დასაქმება მც. და საშ, ბიზნესებში
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	106 637,37	31,9	532	4185
თევზაობა	3 739,61	100	71	230
მრეწველობა	2 559 265,97	13,6	5660	30566
მშენებლობა	316 949,98	14,7	3536	29464
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და პირადი და საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთება	385 470,79	22,2	19271	57615
სასტუმროები და რესტორნები	162 250,32	48,1	2604	19524
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	147 983,26	10	2314	12618
უძრავი ქონება, გაქირავება და ბიზნეს აქტივობები	325 989,92	44,4	6372	35973
განათლება	31 773,17	40,5	873	11334
ჯანდაცვა და სოციალური სამსახური	42 841,14	13	1413	12376
საზოგადოებრივი, სოციალური და პირადი მომსახურების აქტივობები	76 868,27	11,9	1523	11507

რეგისტრირებულ მცირე და საშუალო საწარმოთა უმრავლესობა მდებარეობს თბილისში, აჭარასა და იმერეთში, რაც მთელს საქართველოში მათი რიცხვის 75%-ს შეადგენს. თუმცა, სოფლის მეურნეობის სექტორისთვის უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 560,000¹⁰ ოჯახია რეგისტრირებული, საიდანაც მინიმუმ ერთი წევრი ფერმერია, და გამოთვლებით, 292,000 ოჯახი პროდუქციას ფორმალურ ბაზრებში ყიდის.¹¹ გარდა ამისა, საქართველოში 680 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია დარეგისტრირებული.¹² სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებზე გავლენის განხილვისას, ეს რიცხვი უნდა დაემატოს რეგისტრირებულ 532 მცირე და საშუალო საწარმოს.

⁸ http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=212&lang=eng

⁹ http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=212&lang=eng

¹⁰ საქსტატის მონაცემები (2013)

¹¹ Ibid.

¹² სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტის მიხედვით (www.acda.gov.ge)

ცხრილი 5 მცირე და საშუალო საწარმოების გეოგრაფიული განაწილება (მათი რიცხვი)

	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე
თბილისი	30204	2407	3430	24367
აჭარა	5513	315	576	4622
გურია	836	20	76	740
იმერეთი	5410	186	433	4791
კახეთი	2342	77	175	2090
მცხეთა-მთიანეთი	670	41	57	572
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი	360	5	34	321
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2866	142	286	2438
სამცხე-ჯავახეთი	1139	52	114	973
ქვემო ქართლი	3501	167	329	3005
შიდა ქართლი	1832	76	196	1560

2 გავლენასთან დაკავშირებული საკითხები და მისი მასშტაბები

ამ კვლევაში, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ექსკლუზიურად იმ დებულებებზე, რომლებსაც პირდაპირი გავლენა ექნებათ ბიზნესის ყოველდღიურ ოპერირებაზე. ამ ნაწილში დეტალურად არის წარმოდგენილი ეს დებულებები. აქვე მოცემულია ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დეტალური შედარებითი ანალიზი, მცირე და საშუალო ბიზნესებთან მიმართებაში, როგორც ეს ასოცირების ხელშეკრულებაში/დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივცრის შესახებ შეთანხმებაში (AA/DCFTA) ასახული.

2.1 AA/DCFTA-ის იმ ძირითადი დებულებების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას იქონიებენ ბიზნესზე

AA/DCFTA-სა და მისი იმ დებულებების ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე, რომლებსაც გავლენა ექნებათ მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირებაზე, შემდეგ ცხრილში შეჯამებულია ამ გავლენის შედეგები:

ასოცირების ხელშეკრულების სფეროები	სავარაუდო გავლენა ბიზნესებზე	პოტენციური გავლენის მქონე სექტორები
ფულის გათეთრება/დანაშაული და კორუფცია	გაზრდილი ფინანსური ანგარიშგების/კონტროლის მოთხოვნა	ყველა
ბაზრის ხელმისაწვდომობა	ბაზრის შესაძლებლობები ევროკავშირში და უფრო იაფი იმპორტირებული საშუალებები	დამოკიდებულია ტარიფების არსებულ სტრუქტურაზე
სატარიფო განაკვეთის, სტანდარტების, და შესაბამისობის შეფასებისა და ეტიკეტირების მიახლოება	პროდუქციის ადაპტირება და შესაბამისობის შეფასება	მწარმოებლები
სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების მიახლოება	ევროკავშირის სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებთან და ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტებთან შესაბამისობა	სოფლის მეურნეობა აგროგადამამუშავებელი სექტორი
ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან მიახლოება (საბაჟო კოდექსი)	საბაჟოს ადმინისტრირების პროცედურები	ყველა იმპორტიორი და ექსპორტიორი
სახელმწიფო შესყიდვების კუთხით მიახლოება	ევროკავშირის კონტრაქტებზე ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობა	პროფესიული მომსახურება მშენებლობა მწარმოებლები
ენერგოთანამშრომლობასთან დაკავშირებული მიახლოება	პროდუქტის სტანდარტები ენერგეტიკასა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებით, და შესაბამისად, პროდუქტისა და შენობების	წარმოება მშენებლობა უმრავი ქონება პროფესიული მომსახურება
საგზაო ტრანსპორტი	საგზაო და სატრანსპორტო უსაფრთხოება	ტრანსპორტი საბითუმო/საცალო ვაჭრობა მწარმოებლები (განსაკუთრებით, საშიში პროდუქციის)
კომპანიის კანონი, კორპორატიული მმართველობა, აღრიცხვა და აუდიტი	ცვლილებები კორპორატიულ მმართველობაში	ყველა
გარემოს დაცვა	სამრეწველო დაბინძურებისა და საფრთხეების კონტროლი (ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი,	ტრანსპორტი წარმოება (განსაკუთრებით,

	ნაგავი და კანალიზაცია)	ქიმიკატების) სოფლის მეურნეობა
ჯანდაცვა და უსაფრთხოება	სამსახურში დასაქმებულთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, სამუშაო ალჭურვილობის გამოყენება, პირადი დაცვის ალჭურვილობა	ყველა სექტორი განსაკუთრებით მშენებლობა წარმოება (განსაკუთრებით, ქიმიკატების)

2.2 ფაქტობრივი და პოტენციური მონაცემების შედარებითი ანალიზი/GAP ANALYSIS

სულ გამოკითხულ იქნა 23 ორგანიზაცია. გასაუბრებები ჩატარდა სამთავრობო სამინისტროებთან, დეპარტამენტებთან თუ სააგენტოებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რეგულაციის განხორციელებაზე, და ევრორეგულაციების განხორციელებასთან დაკავშირებით დახმარების გამწევ დონორ პროექტებთან (ძირითადად ევროკავშირის დაფინანსებით).

შემდეგი ანალიზი უკავშირდება კონკრეტულად ასოცირების ხელშეკრულების მუხლებს, რომლებსაც პირდაპირი გავლენა ექნებათ ბიზნესების ოპერირებასა თუ შესაძლებლობებზე, როგორც ეს აუდიტში გამოვლინდა. ის ასევე ასახავს გამოკითხულთა წარმოდგენებს მეტად ვიდრე ჯგუფის მიერ ჩატარებული ნებისმიერი ახალი ანალიზი. მომდევნო ანალიზი წარმოადგენს ორივე გასაუბრების მიგნებებს და ასოცირების ხელშეკრულების შესაბამის სფეროებში განხორციელების გეგმებისა და სტრატეგიების შესწავლას.

ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
უნდა მომზადდეს ურთიერთგაგების მემორანდუმი და თანამშრომლობის ხელშეკრულება ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ქმედებებზე პასუხისმგებელ სამუშაო ჯგუფთან, ექსპერტებთან და ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლებთან	ჩამოყალიბდეს ეროვნული მექანიზმი კოოპერაციისა და საერთაშორისო ფორუმებზე მონაწილეობისათვის
უნდა მოხდეს სასამართლოების თანამშრომლობის ევროპულ კავშირთან (Eurojust) შეთანხმების რატიფიცირება	
ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ პრევენციისა და ნეიტრალიზების შესახებ	

ბაზრის ხელმისაწვდომობა (ტარიფების შემცირება, საექსპორტო გადასახადი, სატარიფო განაკვეთი კვოტები და ფასები)

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
ცვლილებები კანონმდებლობაში უკვე სახეზეა	საჭიროა საბაჟოს შესაბამისი თანამშრომლობის ტრენინგები, პროცედურების შეცვლასთან დაკავშირებით

ტექნიკური რეგულაციების, სტანდარტების მიახლოება, და შესაბამისობის შეფასება და ევროკავშირის სტანდარტები და ეტიკეტირება

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
საქართველოს კანონმდებლობის მიახლოება ევროკავშირის დირექტივებთან, ასოცირების ხელშეკრულების/ DCFTA განრიგის მიხედვით ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტების მიღება.	კარგად ფუნქციონირებადი ბაზრის ზედამხედველობის სისტემის შექმნის საჭიროება.

სანიტარული და ფიტოსანიტარული, ცხოველთა ჯანმრეალობისა და სხვა საკანონმდებლო ზომები

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
მეორადი კანონმდებლობის მომზადება / განხილვა და დამტკიცება, 5 პრიორიტეტულ სფეროში. ევროკავშირის სანიტარულ და ფიტოსანიტარულ, ცხოველთა კეთილდღეობის და სხვა საკანონმდებლო ზომებთან მიახლოება. სწრაფი რეაგირების სისტემა სურსათისთვის, ცხოველის საკვებისთვის ფუნქციონირებს სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვეშ	სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების განვითარების საჭიროება უნდა აშენდეს ინფრასტრუქტურა და შესაბამისი აღჭურვილობა BIPისათვის.

საბაჟო კანონი (საბაჟო კოდექსი)

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
ევროკავშირის შესაბამისი უმთავრესი საბაჟო დებულებები შემუშავდა და მიღება მოსალოდნელია 2016 წელს კანონმდებლობა უნდა იყოს მომზადებული და მიღებული ინტელექტუალური საკუთრების საბაჟოს მიერ ამოქმედებისთვის, ერთიანი სატრანზიტო პროცედურა და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემა.	გამლიერდეს რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის სისტემა. საჭიროა აღსრულების პროცედურების გამლიერება და შემდგომი დახვეწა ინტელექტუალური ქონების დაცვისათვის

კანონმდებლობის მიახლოება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო მიახლოება კომუნალური მომსახურების სექტორისთვის ასოცირების ხელშეკრულების დანართი XVI-ბ-ს მიერ განსაზღვრული ვადების ფარგლებში.	შესყიდვების უწყებების (სატენდერო კომიტეტები და შესყიდვების ოფიცრები) გამლიერება

გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების აღსრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ხარვეზები

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
ყველა საჭირო ცვლილებები კანონში ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ, მიღებული 1999 წელს.	საჭიროა გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის გაძლიერება

ენერგო-თანამშრომლობასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის მიახლოება

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
ნაწილობრივ მიღებული კანონმდებლობა, მაგრამ მაინც უნდა შევიდეს კანონში ცვლილებები „საქონლის უსაფრთხოებისა და თავისუფალი გადაადგილების შესახებ“	უკვე დამტკიცებული კანონმდებლობის მოთხოვნები არ ხორციელდება. არ არის მომსახურების პროვაიდერის ხელმისაწვდომობა, რათა ჩაატაროს ენერგო აუდიტი.

გენმოდირიჟირებული ორგანიზმების მონიტორინგთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის მიახლოება

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
საჭიროა გენმოდირიჟირებული საკვებზე კანონმდებლობის მიახლოება (გეგმა უნდა წარედგინოს ძალაში შესვლიდან ექვს თვეში, SPS-თან ერთად)	სახელმწიფოს არ გააჩნია გენმოდირიჟირებული პროდუქტის კონტროლირების საკმარისი შესაძლებლობა/უნარი

საგზაო ავტოტრანსპორტთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის მიახლოება

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
უნდა შეიცვალოს კანონი „საგზაო ავტოტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებასთან დაკავშირებით“	ამჟამად ფუნქციონირებს 22 აკრედიტებული CAT ტესტირების ცენტრები უნდა გაძლიერდეს ავტომობილების შემოწმების ცენტრები, მართვის და მონიტორინგისთანამედროვე სისტემით. გარდა ამისა, უნდა გააძლიერდეს არსებული მაკონტროლებელი და აუდიტის სტრუქტურების სისტემა.

კორპორატიულ მმართველობასთან, აღრიცხვიანობასთან და აუდიტთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის მიახლოება

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
მეწარმეთა კანონი და საგადასახადო კოდექსი უნდა შეიცვალოს.	გაძლიერდეს ადმინისტრაციული შესაძლებლობა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის მიახლოება

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ხარვეზები

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
კანონმდებლობის უწყვეტი ჰარმონიზება	ტყის მონიტორინგის ახალი სისტემის შემუშავება.

ჯანდაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის მიახლოება

საკანონმდებლო ხარვეზი	ინსტიტუციური ხარვეზი
უნდა შემუშავდეს კანონმდებლობა უსაფრთხოებასა და დასაქმებულთა ჯანმრთელობასთან და სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.	უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების მონიტორინგის კუთხით
შემდგომ საჭირო იქნება მეორადი კანონმდებლობის მომზადება, კანონმდებლობის ასამოქმედებლად.	

3 კვლევის შედეგები

მომდევნო ნაწილში წარმოდგენილია ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული 3 კვლევის ძირითადი ასპექტები: მცირე და საშუალო ბიზნესების, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების და ფინანსური ინსტიტუტების კვლევები. მეტი დეტალები მოცემულია ამ ანგარიშის დანართში. აქ წარმოდგენილია შედეგები, რომლებიც მხოლოდ დასამოწმებლად შეიძლება იქნას გამოყენებული. ამ შედეგების შემდგომი გავლენის ანალიზი წარმოდგენილია ამ ანგარიშის მე-4 ნაწილში.


3.1 მცირე და საშუალო ბიზნესების კვლევის შედეგები

გამოკითხვის სფერო და დაფარვის არეალი


მცირე და საშუალო ბიზნესების გამოკითხვა ჩატარდა 2014 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში. გამოკითხა 521 მცირე და საშუალო საწარმო.

თითოეულ ქვეყანაში რესპოდენტთა პროფილი მოცემულია სექტორის, რეგიონისა და ზომის მიხედვით, ასევე მათი მითითებით, ვინც ამჟამად ექსპორტს ახორციელებს:


დარგობრივი



რეგიონული დაფარვა



კომპანიის ზომა



ზოგადი ბიზნეს გარემო

ძირითადი 5 შემაფერხებელი ფაქტორი, გამოკითხული მცირე და საშუალო ბიზნესების თვალსაზრისით

- დაფინანსების ხარჯი
- ფინანსების ხელმისაწვდომობა (სესხები გაცემის სურვილი/მზაობა)
- საგადასახადო განაკვეთი
- კონკურენტთა პრაქტიკა არაფორმალურ სექტორში
- მსხვილ ფირმებთან კონკურენცია

შესაძლებლობები AA/DCFTA-ის ფარგლებში

ფირმები, რომლებსაც შეუძლიათ გაყიდვა ან ყიდვიან ევროკავშირში

- გამოკითხულ ფირმათა 27 %-ის გათვლებით, მათ უკვე ახლა შეუძლიათ პროდუქციის გაყიდვა ევროკავშირში.
- გამოკითხული ფირმების 49%-მა გამოთქვა ევროკავშირში პროდუქციის გატანის/გაყიდვის სურვილი.

ევროკავშირის ბაზარზე ხელმისაწვდომობა

- გამოკითხულთა შორის ძალიან მცირეს აქვს ცოდნა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ შეაღწიონ ევროკავშირის ბაზარზე და სად მოიპოვონ ინფორმაცია; გამოკითხულთა 10%-ზე ნაკლებს საქართველოშიაქვს ამის ცოდნა.
- გამოკითხული მცირე და საშუალო ბიზნესების დაახლოებით 20%-მა იცოდა თუ როგორ მოეძიებინა ინფორმაცია ევროკავშირში ექსპორტთან დაკავშირებით.


DCFTA-ის ფარგლებში ევროკავშირის ბაზრის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ცვლილებების ცოდნა

ზოგადი ინფორმაცია AA/DCFTA-ის შესახებ

- გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების 72%-ს სმენია AA/DCFTA-ის შესახებ გამოკითხვამდე
- გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების 30%-ს მიაჩნია, რომ AA/DCFTA-ს გავლენა ექნება ყველა ბიზნესზე ქვეყანაში


AA/DCFTA-ის შესახებ ინფორმაციის ფლობა რეგიონების მიხედვით

საქართველო - მც. და საშ. ბიზნესების ზოგადი ინფორმირებულობა რეგიონების მიხედვით




AA/DCFTA გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესებზე

მც. და საშ. ბიზნესები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ AA/DCFTA გავლენა ექნება მხოლოდ ან ძირითადად მათზე, ვისაც პროდუქცია ექსპორტზე გააქვს ევროკავშირში




მც. და საშ. ბიზნესები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ AA/DCFTA გავლენა იქნება მხოლოდ ან ძირითადად მათზე, ვისაც პროდუქცია ექსპორტზე გააქვს ევროკავშირში



მცირე და საშუალო ბიზნესებს არ მიაჩნიათ, რომ მათ ბიზნესზე გავლენა იქნება. საქართველო, ამასთან დაკავშირებით, ფიქრობს, რომ გავლენა ძალიან მცირე იქნება, და რესპოდენტთა მხოლოდ 2%-ს მიაჩნია, რომ AA/DCFTA შეიძლება მათზე გავლენა იქონიოს


მცირე და საშუალო ბიზნესებში ცვლილებების კონკრეტული ცოდნა

მც. და საშ. ბიზნესები, რომელთაც ესმით თავიანთ ბიზნესების კონკრეტულ სფეროებში ცვლილება




AA/DCFTA-თან შესაბამისობისთვის რესურსების ხელმისაწვდომობა


საქართველო - საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად შიდა რესურსების მქონე მც. და საშ. ბიზნესები



საქართველო - საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად ფინანსური რესურსების მქონე მცირე და საშუალო ბიზნესები



საქართველო - საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად ფინანსური რესურსების მქონე მც. და საშ. ბიზნესები



- 5. გარე მომსახურების მიღება
- 4. ინვესტიციების განსაზღვრა
- 3. შიდა მართვის სისტემის შემუშავება
- 2. სტრატეგიის შემუშავება
- 1. ინფორმაციის მოპოვება

მცირე და საშუალო ბიზნესების დაახლოებით ერთმა მესამედმა განაცხადა, რომ მათ აქვთ საკმარისი შიდა რესურსი იმ საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად, რაც DCFTA-ს განხორციელებას მოყვება შედეგად, თუმცა მხოლოდ ერთ მეოთხედს მიაჩნდა, რომ ისინი შეძლებდნენ ინვესტიციის განსაზღვრას და გარე სერტიფიცირების მართვას, იმ 50%-თან შედარებით, რომელთაც შეეძლოთ საჭირო ინფორმაციის განსაზღვრის მართვა.

ფირმების დაახლოებით 25%-მა განაცხადა, რომ ისინი შეძლებდნენ ცვლილებების დაფინანსებას შიდა რესურსიდან და შემდგომ 7%-ს მიაჩნდა, რომ მათ შეეძლოთ დამატებითი დაფინანსების მოძიება. შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოების მხოლოდ 32%-მა განაცხადა, რომ მათ შეეძლოთ AA/DCFTA-ის ცვლილებებიდან გამომდინარე საჭირო ცვლილებების დაფინანსება.

ანალოგიურად, ფირმების დაახლოებით ერთ მესამედს მიაჩნდა, რომ ისინი შეძლებდნენ გარე დაფინანსების მოპოვებას, საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, მცირე და საშუალო ბიზნესების დაახლოებით 50%-ს სჯერა, რომ მათ შეუძლიათ ნებისმიერი საჭირო ინვესტიციის მოძიება, საკუთარი ფინანსებიდან ან სესხის მეშვეობით.

3.2 ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და პროექტების გამოკითხვა/კვლევა

სფერო და დაფარვა

სულ გამოკითხულ იქნა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი 63 ორგანიზაცია 3 ქვეყანაში, მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვების მიზნით, მათ შორის ბიზნესის მხარდამჭერაზე/დახმარებაზე პასუხისმგებელი 13 სამინისტრო და სახელმწიფო ორგანიზაციები, 34 ბიზნესის მხარდამჭერი პროექტი (BSP), მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე მომუშავე 3 ანალიტიკურ-კვლევითი ორგანიზაცია და 14 ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაცია (BSO).

ცხრილი 6 გამოკითხული BSO და BSP ორგანიზაციები

	საქართველო
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე პასუხისმგებელი სამინისტროები	3
ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუტები	2
ბიზნესის მხარდამჭერი პროექტები და დონორები	10
ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები	6
ანალიტიკურ-კვლევითი ორგანიზაციები	1
	22

AA/DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობა

გამოკითხულ BSO-თა შორის AA/DCFTA მოთხოვნების/შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობა

- DCFTA პოპულარული თემაა, მაგრამ ზოგადი ცნობიერება, განსაკუთრებით DCFTA-ის ფირმებზე გავლენის თვალსაზრისით, საკმაოდ დაბალია
- მცირე და საშუალო ბიზნესები ცუდად არიან ინფორმირებული მათ ფირმებზე DCFTA-ის გავლენის/ზემოქმედების შესახებ, მაგრამ ექსპორტზე ორიენტირებული, ექსპორტისთვის მზა და „უფრო შეძლებული/ძლიერი“ ფირმები საკმაოდ ინფორმირებული არიან
- მცირე და საშუალო ბიზნესები არ არიან რეალურად ინფორმირებული იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მიიღონ სარგებელი DCFTA-გან
- DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობა ასევე განსხვავდება სექტორების მიხედვით: მაგ. IT და სამრეწველო ფირმები უფრო უკეთ არიან ინფორმირებული ვიდრე სასოფლო-სამეურნეო ფირმების უმრავლესობა; ღვინის სექტორში მომუშავე ფირმები ასევე საკმაოდ კარგად ინფორმირებული არიან
- მთავრობამ მიიღო ზომები მოსახლეობის DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობის კუთხით, მაგ, ვებ-გვერდების, საინფორმაციო სემინარებისა და შეხვედრების მეშვეობით (მათ შორის, რეგიონებში)

მცირე და საშუალო ბიზნესების მენეჯმენტისა და მარკეტინგის შესაძლებლობები DCFTA-თან შესაბამისობის/მისგან სარგებლის მიღების თვალსაზრისით

- ზოგადად, მენეჯმენტისა და მარკეტინგის ცოდნა მიჩნეულია, რომ არის დაბალი;
- ბევრმა ფირმამ არ იცის თუ რა უნდა გაკეთდეს DCFTA-თან შესაბამისობისთვის

- ექსპორტზე ორიენტირებული და ექსპორტისთვის მზა ფირმები ფლობენ DCFTA შესაბამისობისთვის საჭირო ცოდნას/უნარ-ჩვევებს

მცირე და საშუალო ბიზნესების ტექნიკური შესაძლებლობა DCFTA-თან შესაბამისობის/მისგან სარგებლის მიღების თვალსაზრისით

- ტექნიკური შესაძლებლობები/უნარები მეტად განვითარებულია ვიდრე მენეჯერული და მარკეტინგის, მაგრამ აქაც საჭიროებს გაუმჯობესებას
- ექსპორტზე ორიენტირებული, ექსპორტისთვის მზა და „უფრო შემდგომ/ძლიერ“ ფირმებს ჩვეულებრივ DCFTA-თან შესაბამისი უფრო უკეთესი ტექნიკური ცოდნა აქვთ ვიდრე მცირე და საშუალო ბიზნესებს

მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსური შესაძლებლობა DCFTA-თან შესაბამისობის/მისგან სარგებლის მიღების თვალსაზრისით

- მოლოდინია, რომ DCFTA-თან შესაბამისობა მოითხოვს დიდ დაფინანსებას
- ბევრ ფირმას სირთულეები აქვს ფინანსური საჭიროებების განსაზღვრის კუთხით, ვინაიდან მათ არ აქვთ ცოდნა DCFTA-თან ადაპტირების მოთხოვნებთან დაკავშირებით
- ფინანსების ხელმისაწვდომობა რთული საკითხია ვინაიდან საპროცენტო განაკვეთი მიჩნეულია, რომ არის მაღალი; გირაო პრობლემას წარმოადგენს და სესხისთვის შეფასებაც ძალიან მაღალია
- მცირე და საშუალო ბიზნესებზე სესხების გაცემის ლიკვიდურობა, ითქვამს, რომ არ წარმოადგენდა პრობლემას, მაგრამ ბანკებმა ახსენეს კომერციულად მომგებიანი პროექტების სიმცირე, ფინანსური განათლებისა და ბიზნესის დაგეგმვის უნარ-ჩვევების არქონის/სიმცირის გამო
- დაკრედიტება/სესხის გაცემა ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფინანსური ინსტრუმენტია; ლიზინგი და ფაქტორინგი ხელმისაწვდომია, მაგრამ ვაჭრობის დაფინანსება, როგორც წესი, არ გამოიყენება ხოლმე მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ; მოთხოვნა ნებისმიერ სხვა ინსტრუმენტზე, სესხების გარდა, ძალიან დაბალია
- მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხის გაცემა გირაოთია დატვირთული
- მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის გრძელვადიანი სესხი ადგილობრივ ვალუტაში პრაქტიკულად არარსებელია
- ანალოგიურად, ხშირად მნიშვნელოვანი ძალისხმევა და კრეატიულობა არის საჭირო იმ მხარდამჭერი მექანიზმების გამოსავლენად და გამოსაყენებლად, რომელიც ხელმისაწვდომია DCFTA-ის განხორციელებისთვის ფირმის დონეზე

AA/DCFTA შესაბამისობისთვის არსებული დახმარება და შესაძლებლობების გააზრება

მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერის შესაძლებლობა AA/DCFTA შესაბამისობისა და შესაძლებლობების გაცნობიერების კუთხით

- ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებს არა აქვთ შესაძლებლობა/რესურსები DCFTA-თან დაკავშირებით მომსახურების შესათავაზებლად
- შესაძლებლობები ძირითადად დედაქალაქებშია კონცენტრირებული, რის გამოც შეზღუდულია რეგიონების დაფარვა
- როგორც ჩანს, საერთაშორისო პალატები მართავენ/უძღვებიან DCFTA-ის პროცესს, მაგრამ რეალურად არ აღწევენ მცირე და საშუალო ბიზნესებამდე
- არსებობს რამდენიმე სახელმწიფო სააგენტო, როგორცაა სურსათის ეროვნული სააგენტო და მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლებიც სთავაზობენ მომსახურებას მცირე და საშუალო ბიზნესებს DCFTA-თან დაკავშირებით, ჯერ კიდევ განსავითარებელი/გასაძლიერებელი შესაძლებლობებით

AA/DCFTA შესაბამისობისთვის არსებული მომსახურება (მაგ. შემოწმებისთვის, სერტიფიცირებისთვის, აუდიტისთვის)

- არის შემოწმებისა და სერტიფიცირების გარკვეული სტრუქტურები, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობებით; მხოლოდ რამდენიმე მათგანი არის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე
- არსებობს სახელმწიფო ლაბორატორიები და კერძო ლაბორატორიების შეზღუდული რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ
- ბევრი საწარმო მოძველებულია და საჭიროებს განახლებასა და გაუმჯობესებას
- საერთაშორისო დონორები ეხმარებიან/ხელს უწყობენ შემოწმებისა და სერტიფიცირების ორგანიზაციების შექმნას
- კონკურენცია აღინიშნა სახელმწიფო და კერძო ლაბორატორებს შორის

3.3 ფინანსური ინსტიტუტების გამოკითხვა/კვლევა

სფერო და დაფარვა

ჩატარდა 5 საფინანსო ინსტიტუტის გამოკითხვა საქართველოში. გარდა ამისა, ჩატარდა გასაუბრებები EBRD-თან და EIB-თან.

მცირე და საშუალო ბიზნესების დაკრედიტების ძირითადი გამოწვევები

სესხის გაცემის/დაკრედიტების ზოგადი გარემო

- მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხის გაცემა მიმზიდველ ბაზარს წარმოადგენს ბანკებისთვის, მაგრამ რთულია ისეთი კლიენტების მოძიება, რომელთაც შეუძლიათ მომგებიანი პროექტების მომზადება
- ბანკები „მცირე და საშუალო ბიზნესების პატნიორებად“ მიიჩნევიან
- თავად ბანკებში არ არსებობს რეალური ლიკვიდურობის პრობლემა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხის გაცემისთვის
- ფინანსური განათლება ზოგადად დაბალია
- ბანკების მიერ აღინიშნა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხის გაცემის დაბალი მოთხოვნა
- სესხი მიჩნეულია, რომ არის ძვირი
- ბევრ მცირე და საშუალო საწარმოს არ აქვს ინფორმაცია საბანკო პროდუქტების შესახებ და არ ესმით ბანკის ლოგიკა (და საჭიროებები)
- გრძელვადიანი, ადგილობრივ ვალუტაში სესხი პრობლემას წარმოადგენს

სასესხო პროდუქტი/განაცხადები

- ბანკები ეხმარებიან მცირე და საშუალო ბიზნესებს სასესხო განაცხადების მომზადებაში, მაგრამ ბანკები ჩივიან, რომ უმეტესი ფირმების ფინანსები ცუდად სტრუქტურირებული ან გაურკვეველი და ბუნდოვანია
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს ნაკლებად დახვეწილი სასესხო პროდუქტი აქვთ ვიდრე ბანკებს; ხშირად კრედიტ ოფიცრები ეწვევიან ფირმებს კლიენტთან ერთად, ადგილზე, სასესხო განაცხადის მომზადების მიზნით
- მიკროფინანსირება ბევრ ბანკში ხორციელდება საცალო ბანკინგის მეშვეობით; საქართველოში რამდენიმე აქტიური მიკროსაფინანსო ინსტიტუტია ბაზარზე

გირაოს რეალიზაცია

- საქართველოს ბანკებისთვის ხელსაყრელი კანონმდებლობა აქვს
- კრედიტებს დიდი გირაო უდევს გარანტად

- გირაოს ამოღება შესაძლებელია აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით, მაგრამ რთული საქმეების შემთხვევაში საჭირო იქნება სასამართლოს ჩარევა
- შესაძლებელია გირაოს რეალიზაციიდან გაწეული ხარჯების ამოღება
- არსებობს გირაოს მყიდველის ბაზარი, რაც ართულებს გირაოს გაყიდვას ბანკებისთვის
- ამოღება სასამართლო სისტემების მეშვეობით ხანგრძლივი პროცესია (6-დან 12 თვემდე)

სესხის შესრულება/მონაცემები

- ბანკების პრობლემური სესხების მაჩვენებლისაქართველოში 1%-ზე ნაკლებიდან 3.9%-მდე; პრობლემური სესხების რიცხვი მცირე ფორმებში უფრო მცირეა ვიდრე უფრო მსხვილ ფორმებში
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტების პრობლემური სესხების მაჩვენებელი ბევრად დაბალია ვიდრე ბანკების მაჩვენებელი
- საპროცენტო განაკვეთი ბანკებში 10-15%-მდე მერყეობს (ბევრ ფორმას კარგი პროექტებით შეუძლია სესხის აღება 10%-ზე ნაკლები საპროცენტო განაკვეთით)
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტები 12%-დან 30%-მდე საპროცენტო განაკვეთს აწესებენ

AA/DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობა

AA/DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობა საფინანსო ინსტიტუტებში

- DCFTA-ის შესახებ ცოდნა ფინანსურ ინსტიტუტებში საკმაოდ მწირია
- ზოგიერთი ბანკი ინფორმირებულია, რომ DCFTA აქტუალური იქნება მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის - უზრუნველყოფს რა ბიზნესს შესაძლებლობებს - მაგრამ ზოგადი ცოდნა ამ ბანკებში კვლავ შეზღუდულია
- ბანკები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები დაინტერესებული იქნებოდნენ მიეღოთ შემდგომი ტრენინგი DCFTA-თან დაკავშირებით, ვინაიდან ბევრმა მათგანმა გააცნობიერა, რომ ბევრი სამომავლო პერსპექტივაა საფინანსო ინსტიტუტებისთვის

AA/DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობა მცირე და საშუალო ბიზნესებში

- ყველა საფინანსო ინსტიტუტს მიაჩნია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესების ინფორმირებულობა, ცოდნა და მენეჯმენტი, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობები, DCFTA-თან დაკავშირებით, საკმაოდ შეზღუდულია

ფინანსური ინსტიტუტების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა AA/DCFTA განხორციელებასთან დაკავშირებით

- ფინანსური ინსტიტუტების უმრავლესობა არ იყო ინფორმირებული DCFTA-ის და ფორმებზე მისი გავლენის შესახებ; თუმცა, ზოგიერთი ბანკი ატარებს საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, DCFTA-თან დაკავშირებით, გარეშე ექსპერტიზის გამოყენებით
- ყველა გამოკითხულ ბანკს სურს DCFTA ტრენინგის ჩატარება ფინანსური ინსტიტუტებისთვის

4 ძირითადი მიგნებები

4.1 მცირე და საშუალო საწარმოების შეცვლილ ბიზნეს წესებთან შესაბამისობის საჭიროებები AA/DCFTA-ის განხორციელების დროს

AA/DCFTA-ის ბიზნესზე ზეგავლენის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებს, იმისთვის რომ გამოიყენონ ყველა უპირატესობა და ასევე, მოვიდნენ იმ რეფორმების შესაბამისობაში, რომელიც ტარდება AA/DCFTA-ის განხორციელების ფაზაში, ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. AA/DCFTA-ის თერთმეტი მიმართულება, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის 500-ზე მეტი მითითების განხორციელებასა და სტანდარტების დანერგვას, პირდაპირ იმოქმედებს ბიზნეს საქმიანობაზე. ეს ყოველივე გავლენას იქონიებს მცირე და საშუალო საწარმოების უმეტესობაზე, რომელიც მოიცავს ეკონომიკურად აქტიურ, დარეგისტრირებულ მცირე და საშუალო საწარმოებს, 260,000 საოჯახო მეურნეობას, რომელიც პროდუქციას ყიდის ფორმალურ აგრარულ ბაზრებზე და 580 სასაოფლო სამეურნეო კოოპერატივს.

ინფორმირებულობის დაბალ დონეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების მხოლოდ 72%-ს სმენია AA/DCFTA-ის შესახებ და ამათგან მხოლოდ 30%-ს სჯერა, რომ AA/DCFTA გავლენას მოახდენს მათ საქმიანობაზე (რეგიონების მიხედვით არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება). აქედან გამომდინარე, როგორც მთავრობამ, ისე დონორებმა უნდა იზრუნონ ბიზნესების ცნობიერების ამაღლებაზე AA/DCFTA-ის კუთხით/მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში იყო ბიზნესის ინფორმირებულობის გაზრდის მცდელობა. კერძოდ, მთავრობის, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და დონორების ორგანიზებით ჩატარდა სემინარები, რომელიც შეეხებოდა AA/DCFTA-ს. თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თვით ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები, დონორები, მათ მიერ მხარდაჭერილი პროექტები და სამინისტროები, განიცდიან ინფორმირებულობის პრობლემას. ეს გამოვლინდა ზემოაღნიშნული სემინარების განმავლობაში, რომლებზეც ძირითადად აქცენტი კეთდებოდა ევროპის ერთიან ბაზარზე ინტეგრაციის ზოგად სარგებელზე და არა კონკრეტულ ცვლილებებსა და ეფექტებზე. იგივე სიტუაციაა სამინისტროებსა და დონორების მიერ მხარდაჭერილ პროგრამებშიც, სადაც ბიზნესთან კომუნიკაციისა და მხარდაჭერის ნაცვლად უფრო მეტი ყურადღება ექცევა რეგულაციებთან შესაბამისობაში მოსვლას.

ინფორმირებულობის ნაკლებობა ბიზნეს ოპერაციებთან დაკავშირებული ცვლილებების მასშტაბებსა და გავრცელების არეალზე

ინფორმირებულობის ნაკლებობა ასევე იმ ცვლილებების მასშტაბებთან დაკავშირებით, რომელიც გავლენას მოახდენს ბიზნესზე. გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების 18%-მა განაცხადა, რომ AA/DCFTA გავლენას იქონიებს ძირითადად ექსპორტიორებზე, და მხოლოდ 2% ფიქრობს რომ AA/DCFTA-ის მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მცირე და საშუალო საწარმოებზე. დაახლოებით, მხოლოდ 33% აცნობიერებს იმ ცვლილებებს, რომელიც დაკავშირებული იქნება AA/DCFTA-თან, 41% აქვს ინფორმაცია ფინანსურ რეპორტირებაზე და 23%-ს გარემოსთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრები შეიძლება გადაჭარბებულადაც კი ჩაითვალოს, რადგან რამდენიმე საწარმომ, რომელმაც განაცხადა რომ ინფორმირებულია ამ საკითხებზე, აღმოჩნდა რომ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

რა უნდა გააკეთონ მცირე და საშუალო საწარმოებმა იმისთვის, რომ სარგებელი მიიღონ AA/DCFTA-გან

გამოკითხული საწარმოების უმეტესობა გეგმავს ექსპორტს ევროკავშირში, თუმცა მათგან მხოლოდ 27% ფიქრობს, რომ AA/DCFTA ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას. სოფლის მეურნეობის

მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ცვლილებების მასშტაბი

გარდა ამისა, ზოგიერთი ცვლილება, რომელიც გავლენას იქონიებს ბიზნესზე არც დამამძიმებელი და რთული არ იქნება მათთვის, და არც დიდ ინვესტიციას მოითხოვს.

სფეროები, რომლებიც მცირე ინვესტიციას მოითხოვს, შემდეგია:

- ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსების, დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა: გამოიწვევს ფინანსური ოპერაციების გაზრდას. მცირე და საშუალო ბიზნესებზე გავლენა იქნება შიდა რესურსების გამოყოფა ბიზნესში ფინანსური ანგარიშგებისა და აღრიცხვის გაუმჯობესებისთვის, სასწავლო ტრენინგები, გარე BDS (ბუღალტრები) გამოყენება და გარკვეული, ძალიან მინიმალური, ინვესტიცია, შესაძლოა საბუღალტრო პროგრამებში, დიდწილად OTS პაკეტებში.
- ბაზრის ხელმისაწვდომობა (ტარიფების შემცირება, ექსპორტის გადასახადები, სატარიფო განაკვეთი კვოტები/ TRQ, და ფასები): ნიშნავს, რომ ექსპორტიორებს შეეხებათ ადმინისტრაციული ცვლილებები წარმომავლობის შესაბამისობის ცნობის გაცემასა და დადასტურებასთან დაკავშირებით (1 ევროს ოდენობის სერტიფიცირება საბაჟოს მიერ). მიუხედავად იმისა, რომ ეს გავლენას მოახდენს ლოჯისტიკის მენეჯმენტზე, ის არ საჭიროებს არანაირ ინვესტიციას.
- ეტაპობრივი მიახლოება ევროკავშირის საბაჟო სამართალთან (საბაჟო კოდექსი) და საერთაშორისო სამართალთან, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობასთან ინტელექტუალური საკუთრების უფლებების/IPR საბაჟო აღსრულებასთან დაკავშირებით: ყველა იმპორტიორს და ექსპორტიორს მოუწევს იმუშაოს ახალი საბაჟო პროცედურებით და წესებით. ეს გავლენას მოახდენს ლოჯისტიკური მენეჯმენტის განვითარებაზე, და ის არ საჭიროებს ინვესტიციას.
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება: სახელმწიფო ტენდერების ღია და გამჭვირვალე სისტემების შემუშავება უზრუნველყოფს შესაძლებლობებს SME- მწარმოებლებისათვის, რომ იმუშაონ მთავრობის კონტრაქტებზე. ამის განსახორციელებლად, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა უნდა გაიაზრონ წესები, განახორციელონ პუბლიკაციების მონიტორინგი და აღასრულონ უფლებები (გამჭვირვალობა და დავები). ეს არ მოითხოვს ინვესტიციას.
- სამეწარმეო სამართალი, კორპორაციული მართვა, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი: უმეტესწილად ეს ეხება საბუღალტრო პრაქტიკის, აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღებას. მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგების გაუმჯობესებას, სასწავლო ტრენინგებს, გარე BDS (ბუღალტრები) გამოყენებას და გარკვეული ძალიან მინიმალური ინვესტიციას საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფისათვის, დიდწილად OTS პაკეტებთან დაკავშირებით.
- დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები: უმეტესწილად ეს ეხება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მუშაკებს და მოითხოვს პროცედურების არსებობას, მცირე რაოდენობის ინვესტიციას უსაფრთხოების ტექნიკისთვის, მაგრამ ეს იქნება მცირე შესყიდვები პირადი დამცავი აღჭურვილობისათვის, როგორცაა უსაფრთხო ფეხსაცმელი და ფლურესცენციული ქურთუკები.

სფეროები, რომლებიც მეტ ინვესტიციებს საჭიროებენ, არის:

- ტექნიკურ რეგულაციებთან მიახლოება, სტანდარტები, და შესაბამისობის შეფასება და ევროკავშირის სტანდარტები და ეტიკეტირება: ერთ ან მეტ ტექნიკურ რეგულაციასთან შესაბამისობა საჭიროებს მოთხოვნების გაანალიზებას/ცოდნას (ძირითადი მახასიათებლები), არსებული სტანდარტების მიმოხილვას, პროდუქტის ხელახალ დიზაინს და წარმოების პროცესების ადაპტაციას, სამრეწველო მეტროლოგიას, ტესტირებასა და ანალიზს, შესაბამისობის შეფასების სერტიფიცირებას. იმისათვის, რომ ეს ტექნიკური რეგლამენტები და მასთან დაკავშირებული სტანდარტები მოვიდეს შესაბამისობაში, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის შეიძლება საჭირო გახდეს

(დამოკიდებულია პროდუქტზე) ინვესტირება ახალ ტექნოლოგიებსა და აღჭურვილობაში. გარდა ამისა, ზოგიერთი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელს მოუწევს ან შეძენა ან ლაბორატორიების მოძიება ტესტირებისათვის., ისევე როგორც სერტიფიცირების შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მოძიება. ეს ვრცელდება შიდა წარმოებაზე და ასევე იმპორტულ პროდუქციაზე).

- სანიტარული და ფიტოსანიტარული, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო ზომების ეტაპობრივი მიახლოება: ევროკავშირის სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებთან შესაბამისობა ნიშნავს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო და აგრო გადამამუშავებელმა კომპანიებმა უნდა დააკმაყოფილონ რისკის, ჰიგიენის და სურსათის უვნებლობის სტანდარტები. ეს მოითხოვს მოთხოვნების ცოდნას, საკონტროლო მექანიზმების ამოქმედებას, შემოწმებასა და მონიტორინგს წარმოების პროცესში, სერტიფიცირებას და გარე დამოწმებას. ეს ასევე ნიშნავს სტანდარტების შემოწმებას მოწოდების ჯაჭვში და მოწოდებლების შესაბამისობის შემოწმებას (წარმოებიდან მოხმარებამდე). ეს გავლენას მოახდენს აღრიცხვიანობაზე, წარმოების პროცესებზე და ჰიგიენაზე (პროცედურები, ტრენინგი და შესაბამისი საშუალებები), ასევე შიდა და გარე ტესტირებებზე და კონტროლის დამოწმებაზე. ეს საჭიროებს ინვესტირებას ორივე საშუალებაში (შენიშვნების ადაპტირება, პროდუქტი და პროდუქციის ხარისხი და სტანდარტები) და ტექნოლოგიებსა და აღჭურვილობაში.
- საგზაო ტრანსპორტი: ევროკავშირის საგზაო უსაფრთხოების კანონმდებლობის მიღება გავლენას მოახდენს ნებისმიერ ბიზნესზე, რომელიც დაკავშირებულია კომერციული მანქანების ოპერირებასთან და საქონლის ტრანსპორტირებასთან, იქნება ეს ლოჯისტიკური / სატრანსპორტო ფირმები თუ მწარმოებლები საკუთარი ტრანსპორტით. საგზაო უსაფრთხოების დებულებებთან შესაბამისობა გულისხმობს გზის ვარგისიანობის რეგულარულ შემოწმებას, მოვლა-პატრონობის ჩანაწერებსა და პროცედურებს. კომერციული გადამზიდველებისთვის, საჭირო იქნება ან პლატფორმული სასწორის ქონა ან გარე საშუალებებთან ხელმისაწვდომობა, ასევე ინვესტიციები და შესაბამისი აღჭურვილობის რეტროსპექტული დამონტაჟება, როგორცაა სიჩქარის შემზღვეველები, განვლილი მანძილის აღმრიცხველი, GPS სისტემები და სხვ.
- ენერგოეფექტურობის რეგულაციასთან მიახლოება: ენერგოეფექტურობისა და შენობების და საყოფაცხოვრებო საქონლის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა საყოფაცხოვრებო საქონლისა და სამშენებლო მასალების მწარმოებლებისგან მოითხოვს წარმოების ადაპტირებას/მორგებას, პროდუქტების შეფასებას ენერგოეფექტურობისთვის და მათ სერტიფიცირებას. საჭირო იქნება ინვესტიციების განხორციელება ახალ აღჭურვილობასა და ტექნოლოგიებში მწარმოებლებისთვის, ასევე შემოწმების საშუალებებში; სამშენებლო მასალების მწარმოებლებს ასევე შეიძლება დასჭირდეთ ახალი ტექნოლოგიები და აღჭურვილობა, თუმცა ეს მხოლოდ ახალ შენობებზე ვრცელდება. გარემოს დაცვა: ჰაერის ხარისხისა და ნარჩენების მართვის (მათ შორის კანალიზაცია) დირექტივებთან შესაბამისობა მოითხოვს მცირე და საშუალო ბიზნესის იმ წარმომადგენლებისგან, რომლებიც ჩართულები არიან პოტენციურად საშიში ნარჩენების წარმოებაში, მოთხოვნების ცოდნას, ნარჩენების მონიტორინგს და კონტროლის სისტემების შემოღებას, კომერციული ნარჩენების შეზღუდვას და გადამამუშავებას, ან გარე კომერციული პროვაიდერების მიერ მის განკარგვას.

4.3 AA/DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის საჭირო რესურსები და შესაძლებლობები/სიმძლავრეები

მცირე და საშუალო საწარმოების/ბიზნესების რესურსები

მცირე და საშუალო ბიზნესებს არ აქვთ რესურსები რათა დააკმაყოფილონ AA/DCFTA-ის მოთხოვნები; ფირმების დაახლოებით 40%-ს აქვთ შიდა რესურსი განახორციელონ AA/DCFTA-ის

განხორციელებიდან გამომდინარე აუცილებელი ცვლილებები. თუმცა, შესაძლოა ფორმებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს ცვლილებების სირთულე და შესაბამისად, ეს ციფრები გაბერილია.

პრაქტიკულ მაგალითებზე/შემთხვევების ანალიზზე და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, არსებობს 5 ზოგადი ეტაპი, რომელიც უნდა განვლოთ მცირე და საშუალო ბიზნესმა AA/DCFTA შესაბამისობის ან მისით სარგებლობისთვის:

- ეტაპი 1: საჭირო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია და ცოდნა
- ეტაპი 2: განხორციელებისა და შესაბამისობის სტრატეგია
- ეტაპი 3: შიდა მენეჯმენტისა და პროცესების ცვლილება
- ეტაპი 4: საწარმოსა და აღჭურვილობაში ინვესტირება
- ეტაპი 5: გარე სერტიფიცირება

მაშინ როცა მცირე და საშუალო საწარმოების 50%-მა განაცხადა, რომ აქვთ საკმარისი ცოდნა და საშუალება, რომ მოიპოვონ ინფორმაცია, მხოლოდ 39% შეძლებს შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას, 38% განხორციელებს ცვლილებებს მენეჯმენტში, 27% განსაზღვრავს საჭირო ინვესტიციებს და 26% შეძლებს გაიაროს სერტიფიცირება.

ამასთანავე, მცირე და საშუალო მეწარმეებს არ აქვთ როგორც შიდა, ისე გარე დაფინანსება რომ გაიარონ ზემოჩამოთვლილი ნაბიჯები. ინფორმაციის მოსაპოვებლად მხოლოდ 31%-ს აქვს ფინანსები, სტრატეგიის შემუშავებისა და მენეჯმენტში ცვლილებების განსახორციელებლად 25%-ს და ინვესტიციებისა და სერტიფიცირებისთვის 16%-ს. მცირე და საშუალო მეწარმეების მხოლოდ 6-7% ფიქრობს, რომ შეძლებს საჭირო ფინანსების მოძიებასა და მოცემული ნაბიჯების დაფინანსებას. ისევე, აუცილებელია ამ მიმართულებით ფინანსების გამოყოფა.

ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესაძლებლობები

მართალია, რომ ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ მცირე და საშუალო მეწარმეებს ბიზნესის განვითარებასა და AA/DCFTA-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში; თუმცა, ასეთი ტიპის ორგანიზაციებს, ისევე როგორც სამთავრობო ორგანიზაციებსა და დონორების მიერ მხარდაჭერილ პროგრამებს დღევანდელი მდგომარეობით ამის უნარი ნაკლებად შესწევთ და საჭიროებენ გაძლიერებას.

გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოებიდან მხოლოდ 9% მიმართავს ბიზნესის განვითარების სამსახურებს; ამათგან 42% უკმაყოფილო იყო გაწეული მომსახურებით, 42%-ს სურდა მიეღო სხვა ტიპის მომსახურებაც. გამოკითხული საწარმოების 56% ფიქრობს, რომ ასეთი მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი.

თვით ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებიდან მხოლოდ ცოტამ თუ იცის სრულყოფილად AA/DCFTA-ის ესახე. ბიზნესის განვითარების სამსახურების ბაზარი საკმაოდ სუსტია და ძირითადი ყურადღება ექცევა საკანონმდებლო რეგულაციების დაკმაყოფილებას, ვიდრე მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერას.

დაფინანსება

AA/DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლასა და შეთანხმების ყველა შესაძლებლობების გამოყენებაში დიდი როლი ენიჭება გარე დაფინანსებას. გამოკითხული ფორმების 57%-ს ადებული ჰქონდა სესხი და მათგან მხოლოდ 38%-ს გაუჭირდა სესხის აღება. 67%-ისთვის საპროცენტო განაკვეთი მიუღებელი აღმოჩნდა; საფინანსო ინსტიტუტების განცხადებით კი მცირე და საშუალო საწარმოებს არ ჰქონდათ ადეკვატური ფინანსური განათლება.

ზოგადი ხელისშემშლელი ფაქტორები ბიზნესისთვის

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგადი ფინანსური და ბიზნეს გარემო მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მცირე და საშუალო საწარმოების უნარზე არა მარტო იფუნქციონირონ და განვითარდნენ მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში, არამედ შესაბამისობაში მოვიდნენ AA/DCFTA-ის

მოთხოვნებთან. რადგან მოცემულ მოხსენებაში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია AA/DCFTA-ის პირდაპირ ეფექტებზე, ზოგადი ფაქტორები განხილული უნდა იქნას კერძო სექტორის განვითარების ფარგლებში. ეს მოიცავს:

- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები: დანახარჯები და ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა, საგადასახადო განაკვეთები; არასტაბილური გეოპოლიტიკური მდგომარეობა (რუსეთის გამო).
- ახალი რეგულაციების მთავრობის მიერ დაფინანსება და განხორციელება - ბიზნესის მხარამჭერი ორგანიზაციების მიერ განხილულ იქნა როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი AA/DCFTA-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. მცირე და საშუალო საწარმოების, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და საფინანსო ინსტიტუტების მიერ დასახელებული სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები დაკავშირებული იყო უფრო ბიზნესის განვითარების სამსახურებთან - მაგლითად როგორცაა AA/DCFTA-ზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - ვიდრე ბიზნეს გარემოსთან.

5 რეკომენდაციები

შეუძლებელია AA/DCFTA შესაბამისობიდან გამომდინარე ცვლილებების გაგებასთან და ადმინისტრაციულ პროცედურებთან, წარმოების პროცესთან და საშუალებების ადაპტირებასთან დაკავშირებული მცირე და საშუალო ბიზნესების წინაშე მდგარი ამოცანის არ დაფასება. ბიზნესის უკეთესი მომზადებისთვის რათა შესაბამისობაში იყოს შეცვლილ კანონმდებლობასთან, და ასევე გამოიყენოს შესაძლებლობები, საჭიროა მხარდაჭერის და „წინამძღოლობის/გვერდში დგომის“ მთელი სპექტრის უზრუნველყოფა, მიზნობრივი დეტალური პროგრამისა და ძალიან კონკრეტული დახმარების მეშვეობით. ქვემოთ შეჯამებულია რეკომენდაციები. სრული დეტალები წარმოდგენილია ძირითად ანგარიშში.

სტრატეგია 1: ინფორმირებულობა

ასოცირების ხელშეკრულების ბიზნესზე ზემოქმედების და მის მიერ შექმნილი ახალი შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება. აქამდე არსებული და მომავალში დაგეგმილი საინფორმაციო კამპანია ძირითადად მაღალი დონის პოლიტიკურ განცხადებებზე არის დაფუძნებული და არა კონკრეტულ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე, ამ პროგრამის ფარგლებში მთელი ინფორმაცია უშუალოდ ბიზნესზე ორიენტირებული იქნება.

ასოცირების ხელშეკრულების შესახებ ბიზნეს კომპანიების ცოდნის ამაღლება არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ „სათაურებს“, როგორც ეს ამჟამად ხდება. ის უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ინფორმაციას ასოცირების ხელშეკრულების შედეგების და მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობაზე მისი ზემოქმედების თაობაზე. შესაბამისად, კონკრეტული ამოცანებია:

- მცირე და საშუალო საწარმოებს ესმოდეთ ხელშეკრულების ბიზნესზე ზემოქმედება;
- მცირე და საშუალო საწარმოების სტიმულირება, რომ გაითვალისწინონ ასოცირების ხელშეკრულების შედეგები თავიანთ სტრატეგიულ გეგმებში;
- საფინანსო ინსტიტუტების და ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების ცოდნის უზრუნველყოფა;
- მთავრობის სტიმულირება, რომ გააძლიერონ კომუნიკაცია ბიზნესის სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, თითოეულ ქვეყანაში შეიძლება შემუშავდეს შემდეგი პროგრამა:

1. ქვეყნის ბიზნეს საწარმოების ინფორმირების კამპანია;
2. საფინანსო ინსტიტუტების, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების და სამთავრობო უწყებების (სამინისტროების, დეპარტამენტის და სააგენტოების) საშუალებით პროპაგანდა-აგიტაციის პროგრამის განხორციელება.

სტრატეგია 2: ნოუ ჰაუ

ამ სტრატეგიის ზოგადი მიზანია, რომ მცირე და საშუალო საწარმოებმა შეძლონ ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების დაკმაყოფილება, როდესაც სახელმწიფო მიიღებს ამ მოთხოვნებს და გამოინსტრუმენტებით აღჭურვა, რომ მათ განახორციელონ შესაბამისი ცვლილებები თავის საქმიანობაში ასოცირების ხელშეკრულებისთვის მომზადების და ადაპტირების მიზნით. იყენონ შექმნილი ხელსაყრელი შესაძლებლობები, ასევე საწარმოების დახმარება და შესაბამისი

ამ სტრატეგიის კონკრეტული მიზნებია:

- პერსონალის უნარების და ცოდნის ამაღლება ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ბიზნესის წარმართვის და ადაპტირების თაობაზე;

- ბიზნესის განვითარების მომსახურების ჩამოყალიბება და ხელმისაწვდომობა ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

ამ მიზნების მისაღწევად თითოეულ ქვეყანაში მომზადდება შემდეგი პროგრამები:

1. ბიზნესის განვითარების მომსახურების როლი ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სტრატეგიის და გეგმების შემუშავებაში
2. ბიზნესის განვითარების მომსახურება კონკრეტულ სფეროში (არსებული და ახალი)
3. ბიზნეს კავშირების მიდგომა
4. ქვეყანაში ასოცირების ხელშეკრულების ცენტრის ჩამოყალიბება (რომელიც ცოდნის წყარო და საცავი იქნება).

სტრატეგია 3: ინვესტიციების ფინანსური სახსრები

ასოცირების ხელშეკრულების დებულებების განხორციელებით გამოწვეული ცვლილებებისადმი ადაპტირებისთვის და ახლად შექმნილი შესაძლებლობებით სარგებლობისთვის აუცილებელია ინვესტიციების ჩადება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილებები არ შეეხება ყველა საწარმოს, ყველა დარგს და შესაბამისად არ საჭიროებს ფინანსურ ინვესტიციას. ასოცირების ხელშეკრულების ფინანსური სტრატეგიის ამოცანაა ძლიერი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი საწარმოებისთვის გამიზნული საქმიანობის და ინვესტიციების დაფინანსება, რომ მათ მიეცეთ ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილების და შესაძლებლობებით სარგებლობის საშუალება. ეს რეკომენდაციები ეხება მხოლოდ და მხოლოდ ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ ფინანსურ საჭიროებებს. თუმცა როგორც ანალიზში დეტალურად არის ნაჩვენები, არსებობს დაფინანსების სხვა საკითხები, რომლებიც პარალელურად უნდა იქნეს მოგვარებული. ამ საკითხებს შორის არის ფინანსების ცოდნა, იპოთეკის რეალიზაციის სისტემები, ფინანსირების ხარჯები, დეველპაციის (ბანკების რეკაპიტალიზაცია უკრაინაში) და ადგილობრივ ვალუტაში დაკრედიტების ეფექტი. ამგვარი ღონისძიებების გარეშე ზემოაღნიშნული ზომების ზემოქმედების სფერო და ინტენსივობა შეზღუდული იქნება (მაგალითად, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ცოდნის ნაკლებობა შეზღუდავს მათ წვდომას ფინანსური სახსრებისადმი. ამგვარად, ამ საკითხის მოგვარებამდე მცირე და საშუალო საწარმოებს არ ექნებათ შემოთავაზებული რესურსების წვდომა).

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების დაკმაყოფილებაში დახმარების მიზნით ფინანსური სახსრების გამოყოფისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოს სჭირდება ინვესტიციები მოდერნიზაციისთვის, რომ დააკმაყოფილონ საბაზრო მოთხოვნები და უზრუნველყონ თავისი კონკურენტუნარიანობა. თუმცა ინვესტიციები აუცილებელია, მაგრამ მათი საჭიროება შეიძლება არ იყოს პირდაპირ კავშირში ასოცირების ხელშეკრულების შედეგად შემოდებული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ შეთავაზებული ფინანსური სახსრები პირდაპირ კავშირში იყოს ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გამახვილდეს არა მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, არამედ შექმნილი შესაძლებლობით სარგებლობაზე. თუმცა ექსპორტიორი კომპანიები აკმაყოფილებენ ევროკავშირის ნორმატიულ-სამართლებრივი სისტემის მოთხოვნებს, ინვესტიციების ფინანსური სახსრები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ევროკავშირში პოტენციური ექსპორტიორებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებიც პროდუქციას აწვდიან სტრუქტურირებულ შიდა ბაზარს და პოტენციურ ექსპორტიორებს.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად საქართველოში შეიძლება შემუშავდეს შემდეგი პროგრამები:

- საკრედიტო ხაზები ტექნიკურ ინსტრუქციებთან და სანიტარულ და ფიტოსანიტარულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- საკრედიტო ხაზები ტრანსპორტის, ენერგოეფექტურობის და გარემოს დაცვის დამტკიცებული ტექნოლოგიებისთვის
- საკრედიტო ხაზები ტესტირების აღჭურვილობისთვის.

სტრატეგია 4: სერტიფიცირების და ნებართვების მიღების/დამტკიცების მხარდაჭერა

საქართველოში ევროკავშირის კანონების მიღება DCFTA-ის/ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ან ევროკავშირში ექსპორტირების მიზნით ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობა განაპირობებს ცვლილებებს ბიზნესის ფუნქციონირებაში და პროცედურებში. მცირე და საშუალო საწარმოებს მოუწევთ არა მარტო თავის საქმიანობაში ცვლილებების განხორციელება ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არამედ ასევე ამ ცვლილებების დადასტურება. შემოწმების სისტემა მოიცავს საწარმოების ინსპექტირებას სახელმწიფო უწყებების მხრიდან ან დამოუკიდებელი ორგანიზაციების მხრიდან სერტიფიცირებას და ნებართვების გაცემას. სერტიფიცირების ღირებულება და ხელმისაწვდომობა ხშირად სერიოზულ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც მე-4 სტრატეგიის ფარგლებში უნდა მოგვარდეს.

ამ სტრატეგიის კონკრეტული მიზნები იქნება:

- უზრუნველყოს, რომ სერტიფიცირება და ნებართვების მიღება არ გახდეს დამაბრკოლებელი ფაქტორი DCFTA-ის/ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიღწევაში ან ევროკავშირის ბაზარზე გასვლაში;
- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სერტიფიცირების ხარჯების შემცირება;
- სერტიფიცირების და ნებართვების გაცემის კონკურენტულ ბაზარზე წვდომის გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ DCFTA-ის/ასოცირების ხელშეკრულების განსახორციელებლად უნდა შეიქმნას ხარისხის უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურა. ამ ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება გათვალისწინებულია სხვა პროგრამების ფარგლებში, როგორცია ევროკავშირის საკახელმისაწვდომობის ამალგებისკენ და არა არსებული ან დაგეგმილი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება-გამდიერებისკენ. ნონმდებლო დაახლოების და თემატური პროგრამები. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სტრატეგიაში გათვალისწინებული ღონისძიებები გამიზნულია ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება-გამდიერებისკენ.

ზემოთ მითითებული მიზნების მისაღწევად თითოეულ ქვეყანაში შეიძლება შემუშავდეს შემდეგი პროგრამები:

1. სერტიფიცირების ხარჯების დაფინანსება
2. სერტიფიცირების ორგანიზაციების წვდომის გაუმჯობესება.

დანართი: კვლევების შედეგები


დანართი 1: მცირე და საშუალო ბიზნესების კვლევების შედეგები

გამოკითხვის სფერო და დაფარვის არეალი


მცირე და საშუალო ბიზნესების გამოკითხვა ჩატარდა 2014 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში. გამოკითხა 521 მცირე და საშუალო საწარმო.

თითოეულ ქვეყანაში რესპოდენტთა პროფილი მოცემულია სექტორის, რეგიონისა და ზომის მიხედვით, ასევე მათი მითითებით, ვინც ამჟამად ექსპორტს ახორციელებს:


დარგობრივი



რეგიონული დაფარვა



კომპანიის ზომა



ზოგადი ბიზნეს გარემო

ძირითადი 5 შემაფერხებელი ფაქტორი, გამოკითხული მცირე და საშუალო ბიზნესების თვალსაზრისით

- დაფინანსების ხარჯი
- ფინანსების ხელმისაწვდომობა (სესხები გაცემის სურვილი/მზაობა)
- საგადასახადო განაკვეთი
- კონკურენტთა პრაქტიკა არაფორმალურ სექტორში
- მსხვილ ფირმებთან კონკურენცია

შეხედულებები ბიზნეს პერსპექტივებზე

- გამოკითხულ ფირმათა 53%-ს მიაჩნია, რომ მათ შეუძლიათ ზრდა არსებულ ბიზნეს კლიმატში
- გამოკითხულ ფირმათა 25%-ს მიაჩნია, რომ მათ შეუძლიათ ინვესტირება არსებულ კლიმატში

შესაძლებლობები AA/DCFTA-ის ფარგლებში

ფირმები, რომლებსაც შეუძლიათ გაყიდვა ან ყიდვან ევროკავშირში

- გამოკითხულ ფირმათა 27 %-ის გათვლებით, მათ უკვე ახლა შეუძლიათ პროდუქციის გაყიდვა ევროკავშირში.
- გამოკითხული ფირმების 49%-მა გამოთქვა ევროკავშირში პროდუქციის გატანის/გაყიდვის სურვილი.

ევროკავშირის ბაზარზე ხელმისაწვდომობა

- გამოკითხულთა შორის ძალიან მცირეს აქვს ცოდნა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ შეაღწიონ ევროკავშირის ბაზარზე და სად მოიპოვონ ინფორმაცია; გამოკითხულთა 10%-ზე ნაკლებს საქართველოშიაქვს ამის ცოდნა.
- გამოკითხული მცირე და საშუალო ბიზნესების დაახლოებით 20%-მა იცოდა თუ როგორ მოეძიებინა ინფორმაცია ევროკავშირში ექსპორტთან დაკავშირებით.

DCFTA-ის ფარგლებში ევროკავშირის ბაზრის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ცვლილებების ცოდნა

DCFTA-ის შედეგად ბაზრის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ ძალიან მწირი ცოდნა დაფიქსირდა გამოკითხულთა შორის.

- 11%-მა იცოდა ტარიფებზე გავლენის მქონე ცვლილებების შესახებ;
- 5% ფლობდა ინფორმაციას სატარიფო განაკვეთი კვოტების შესახებ; და
- მხოლოდ 8%-მა იცოდა წარმომავლობის სერტიფიკატების შესახებ.

AA/DCFTA-ის ფარგლებში გათვალისწინებული ცვლილებებისთვის მზაობა მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესების უმრავლესობა გეგმავს მარკეტინგის გეგმის შემუშავებას ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად, ცოტას სჯერა, რომ მათ გააჩნიათ შიდა რესურსები ან შეუძლიათ მოიძიონ გარე რესურსები, მის სათანადოდ განსახორციელებლად.

- გამოკითხული კომპანიების 70%-მა განაცხადა, რომ ისინი შეიმუშავებენ ევროკავშირში ბაზარზე შესვლის მარკეტინგის გეგმას;
- 37%-მა დაადასტურა, რომ მათ ხელი მიუწვდებათ გარე ფინანსებზე გეგმის განსახორციელებლად; და
- 45%-მა განაცხადა, რომ მათ აქვთ შიდა რესურსი ამის განსახორციელებლად.

ევროკავშირის მარკეტინგის სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო მხადაჭერა: გრანტები; კანონმდებლობის ლიბერალიზაცია; ფინანსური დახმარება; ინფორმაცია ევროკავშირის ტარიფებსა და კვოტებზე და ევროკავშირში ექსპორტთან დაკავშირებით: კონტაქტები.

ევროკავშირის სამთავრობო ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობა

საკმარისი ცოდნა არსებობს საქართველოსა და უკრაინაში ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულ მცირე და საშუალო ბიზნესებს შორის, ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების შესაძლებლობების შესახებ; თუმცა, პრაქტიკულად, არ არსებობს იმის ცოდნა თუ სად უნდა მოიპოვონ ინფორმაცია გამოცხადებულ ტენდერთან და მის წესებთან დაკავშირებით.

- მცირე და საშუალო ბიზნესების 52% აცხადებს, რომ მათ აქვთ ინფორმაცია ევროკავშირის სამთავრობო ტენდერებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ;
- 17 %-მა დაადასტურა, რომ მათ აქვთ ინტერესი მიიღონ მონაწილეობა ევროკავშირის სამთავრობო ტენდერებში;
- 63% აცხადებს, რომ მათ იციან თუ როგორ მოიძიონ ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის წესების შესახებ;
- 5%-მა იცის სად მოიპოვოს ინფორმაცია გამოცხადებული ტენდერების შესახებ.


AA/DCFTA-ის განხორციელებით გამოწვეული ცვლილებების გაგება

ზოგადი ინფორმაცია AA/DCFTA-ის შესახებ

- გამოკითხული მცირე და საშუალო ბიზნესების 72%-ს სმენია AA/DCFTA-ს შესახებ გამოკითხვამდე
- 30%-ს მიაჩნია, რომ AA/ DCFTA-ს გავლენა ექნება ყველა ბიზნესზე ქვეყანაში


AA/DCFTA-ის შესახებ ინფორმაციის ფლობა რეგიონების მიხედვით

საქართველო - მც. და საშ. ბიზნესების ზოგადი ინფორმირებულობა რეგიონების მიხედვით




AA/DCFTA გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესებზე

მც. და საშ. ბიზნესები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ AA/DCFTA გავლენა ექნება მხოლოდ ან ძირითადად მათზე, ვისაც პროდუქცია ექსპორტზე გააქვს ევროკავშირში




მც. და საშ. ბიზნესები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ AA/DCFTA გავლენა ექნება მხოლოდ ან ძირითადად მათზე, ვისაც პროდუქცია ექსპორტზე გააქვს ევროკავშირში



მცირე და საშუალო ბიზნესებს არ მიაჩნიათ, რომ მათ ბიზნესზე გავლენა იქნება. საქართველო, ამასთან დაკავშირებით, ფიქრობს, რომ გავლენა ძალიან მცირე იქნება, და რესპოდენტთა მხოლოდ 2%-ს მიაჩნია, რომ AA/DCFTA შეიძლება მათზე გავლენა იქონიოს


მცირე და საშუალო ბიზნესებში ცვლილებების კონკრეტული ცონდა

მც. და საშ. ბიზნესები, რომელთაც ესმით თავიანთ ბიზნესების კონკრეტულ სფეროებში



ბიზნესები, რომელთაც იციან სად მოიპოვონ ინფორმაცია თითოეულ გავლენის ქვეშ მყოფ სფეროზე

ცვლილებების გაგების დონე






ევროკავშირის კანონმდებლობის მიღების განრიგი



ზოგადად, მცირე და საშუალო ბიზნესებს ძალიან ზოგადი და ცუდი ცოდნა აქვთ კანონმდებლობის განხორციელების ვადების/განრიგის შესახებ. რესპოდენტთა უმრავლესობას არ ჰქონდა პასუხი ამ კითხვაზე და უმეტეს შემთხვევაში პასუხები შეითითხნელი იყო.

AA/DCFTA-თან შესაბამისობისთვის რესურსების ხელმისაწვდომობა

ანალოგიურად, ფირმების დაახლოებით ერთ მესამედს მიაჩნდა, რომ ისინი შეძლებდნენ გარე დაფინანსების მოპოვებას, საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, მცირე და საშუალო ბიზნესების დაახლოებით 50%-ს სჯერა, რომ მათ შეუძლიათ ნებიერსმიერი საჭირო ინვესტიციის მოძიება, საკუთარი ფინანსებიდან ან სესხის მეშვეობით.



- 5. გარე მომსახურების მიღება
- 4. ინვესტირების განსაზღვრა
- 3. შიდა მართვის სისტემის შემუშავება
- 2. სტრატეგიის შემუშავება
- 1. ინფორმაციის მოპოვება


საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესების დაახლოებით ერთმა მესამედმა განაცხადა, რომ მათ აქვთ AA /DCFTA-ის განხორციელების შედეგად გამოწვეული საჭირო ცვლილებების მართვისთვის აუცილებელი შიდა რესურსი, თუმცა მხოლოდ მეოთხედს მიაჩნდა, რომ ისინი შეძლებდნენ ინვესტიციის განსაზღვრას და გარე სერტიფიცირების მართვას, 50%-თან შედარებით, რომელთაც შეეძლოთ მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენა/გასნაზღვრა. ფირმების დაახლოებით 25%-მა განაცხადა, რომ ისინი შეძლებდნენ ცვლილებების დაფინანსებას შიდა ფინანსებიდან და 7%-მა კი, რომ შეძლებდნენ გარე დაფინანსების მოპოვებას. შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესების მხოლოდ 32%-მა განაცხადა, რომ მათ შეეძლოთ რესურსი, AA/DCFTA-ის შედეგად გამოწვეული საჭირო ცვლილებების დაფინანსება.

AA/DCFTA შესაბამისობისთვის აუცილებელი დახმარება

მონაწილეების მოსაზრებით საჭირო დახმარება: ფინანსები, ინფორმაცია, ტრენინგი, ცნობიერების ამაღლება, ადამიანური რესურსები, ახალი ტექნოლოგიები

არსებული ბიზნესის განვითარების მომსახურების ადეკვატურობა

ბიზნესის განვითარების სამსახურების გამოცდილება




ფირმების უმრავლესობას აულია სესხი, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეს - ბიზნესის განვითარების მომსახურება.

ბიზნესის განვითარების მომსახურების ადეკვატურობა/შესაბამისობა



ბიზნესის განვითარების მომსახურების მიღების გამოცდილების მქონე კომპანიებიდან, 58% კმაყოფილი იყო მიღებული მომსახურებით და მიაჩნდათ, რომ ბიზნესის განვითარების მომსახურების სპექტრი ადეკვატური იყო. რაც შეეხება ზემოაღნიშნული მომსახურების ფასს, მსგავს მომსახურება მიღებულ მცირე და საშუალო ბიზნესების 44%-ს მიაჩნდა, რომ ის ხელმისაწვდომი იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის განვითარების მომსახურების გამოცდილება ყველაზე ნაკლები იყო საქართველოში და მხოლოდ 9% შეადგინა, შესაბამისად, ამ მომსახურებით გამოყენების მაჩვენებელიც დაბალი იყო.

სესხების გამოცდილება



- ზოგადად, მცირე და საშუალო ბიზნესებმა საქართველოში აღნიშნეს სესხის აღებასთან დაკავშირებული ხელსაყრელი/შეღავათიანი გამოცდილება; 72%-ის თანახმად, სესხის აღება შედარებით იოლი იყო, ორმა მესამედმა განაცხადა, რომ სესხი საკმარისი იყო და დაბრუნების პერიოდიც მისაღები.
- მცირე და საშუალო ბიზნესების 67% აღნიშნა არახელსაყრელი საპროცენტო განაკვეთი.
- გირაოს მოთხოვნები პრობლემური იყო მცირე და საშუალო ბიზნესების 54%-თვის.

დანართი 2: ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და პროექტების გამოკითხვა/კვლევა

სფერო და დაფარვა

სულ გამოკითხულ იქნა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი 63 ორგანიზაცია 3 ქვეყანაში, მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვების მიზნით, მათ შორის ბიზნესის მხარდამჭერაზე/დახმარებაზე პასუხისმგებელი 13 სამინისტრო და სახელმწიფო ორგანიზაციები, 34 ბიზნესის მხარდამჭერი პროექტი (BSP), მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე მომუშავე 3 ანალიტიკურ-კვლევითი ორგანიზაცია და 14 ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაცია (BSO).

ცხრილი 7 გამოკითხული BSO და BSP ორგანიზაციები

	საქართველო
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე პასუხისმგებელი სამინისტროები	3
ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუტები	2
ბიზნესის მხარდამჭერი პროექტები და დონორები	10
ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები	6
ანალიტიკურ-კვლევითი ორგანიზაციები	1
	22

AA/DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობა

გამოკითხულ BSO-თა შორის AA/DCFTA მოთხოვნების/შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობა

- DCFTA პოპულარული თემაა, მაგრამ ზოგადი ცნობიერება, განსაკუთრებით DCFTA-ის ფორმებზე გავლენის თვალსაზრისით, საკმაოდ დაბალია
- მცირე და საშუალო ბიზნესები ცუდად არიან ინფორმირებული მათ ფორმებზე DCFTA-ის გავლენის/ზემოქმედების შესახებ, მაგრამ ექსპორტზე ორიენტირებული, ექსპორტისთვის მზა და „უფრო შეძლებული/ძლიერი“ ფირმები საკმაოდ ინფორმირებული არიან
- მცირე და საშუალო ბიზნესები არ არიან რეალურად ინფორმირებული იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მიიღონ სარგებელი DCFTA-გან
- DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობა ასევე განსხვავდება სექტორების მიხედვით: მაგ. IT და სამრეწველო ფირმები უფრო უკეთ არიან ინფორმირებული ვიდრე სასოფლო-სამეურნეო ფირმების უმრავლესობა; ღვინის სექტორში მომუშავე ფირმები ასევე საკმაოდ კარგად ინფორმირებული არიან
- მთავრობამ მიიღო ზომები მოსახლეობის DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობის კუთხით, მაგ. ვებ-გვერდების, საინფორმაციო სემინარებისა და შეხვედრების მეშვეობით (მათ შორის, რეგიონებში)

მცირე და საშუალო ბიზნესების მენეჯმენტისა და მარკეტინგის შესაძლებლობები DCFTA-თან შესაბამისობის/მისგან სარგებლის მიღების თვალსაზრისით

- ზოგადად, მენეჯმენტისა და მარკეტინგის ცოდნა მიჩნეულია, რომ არის დაბალი;
- ბევრმა ფირმამ არ იცის თუ რა უნდა გაკეთდეს DCFTA-თან შესაბამისობისთვის
- ექსპორტზე ორიენტირებული და ექსპორტისთვის მზა ფირმები ფლობენ DCFTA შესაბამისობისთვის საჭირო ცოდნას/უნარ-ჩვევებს

მცირე და საშუალო ბიზნესების ტექნიკური შესაძლებლობა DCFTA-თან შესაბამისობის/მისგან სარგებლის მიღების თვალსაზრისით

- ტექნიკური შესაძლებლობები/უნარები მეტად განვითარებულია ვიდრე მენეჯერული და მარკეტინგის, მაგრამ აქაც საჭიროებს გაუმჯობესებას
- ექსპორტზე ორიენტირებული, ექსპორტისთვის მზა და „უფრო შემღებულ/ძლიერ“ ფორმებს ჩვეულებრივ DCFTA-თან შესაბამისი უფრო უკეთესი ტექნიკური ცოდნა აქვთ ვიდრე მცირე და საშუალო ბიზნესებს

მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსური შესაძლებლობა DCFTA-თან შესაბამისობის/მისგან სარგებლის მიღების თვალსაზრისით

- მოლოდინია, რომ DCFTA-თან შესაბამისობა მოითხოვს დიდ დაფინანსებას
- ბევრ ფორმას სირთულეები აქვს ფინანსური საჭიროებების განსაზღვრის კუთხით, ვინაიდან მათ არ აქვთ ცოდნა DCFTA-თან ადაპტირების მოთხოვნებთან დაკავშირებით
- ფინანსების ხელმისაწვდომობა რთული საკითხია ვინაიდან საპროცენტო განაკვეთი მიჩნეულია, რომ არის მაღალი; გირაო პრობლემას წარმოადგენს და სესხისთვის შეფასებაც ძალიან მაღალია
- მცირე და საშუალო ბიზნესებზე სესხების გაცემის ლიკვიდურობა, ითქვამს, რომ არ წარმოადგენდა პრობლემას, მაგრამ ბანკებმა ახსენეს კომერციულად მომგებიანი პროექტების სიმცირე, ფინანსური განათლებისა და ბიზნესის დაგეგმვის უნარ-ჩვევების არქონის/სიმცირის გამო
- დაკრედიტება/სესხის გაცემა ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფინანსური ინსტრუმენტია; ლიზინგი და ფაქტორინგი ხელმისაწვდომია, მაგრამ ვაჭრობის დაფინანსება, როგორც წესი, არ გამოიყენება ხოლმე მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ; მოთხოვნა ნებისმიერ სხვა ინსტრუმენტზე, სესხების გარდა, ძალიან დაბალია
- მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხის გაცემა გირაოთია დატვირთული
- მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის გრძელვადიანი სესხი ადგილობრივ ვალუტაში პრაქტიკულად არარსებელია
- ანალოგიურად, ხშირად მნიშვნელოვანი ძალისხმევა და კრეატიულობა არის საჭირო იმ მხარდამჭერი მექანიზმების გამოსავლენად და გამოსაყენებლად, რომელიც ხელმისაწვდომია DCFTA-ის განხორციელებისთვის ფორმის დონეზე

მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის საჭირო მხარდაჭერის ტიპი, AA/DCFTA შესაბამისობისთვის

ცხრილი 8 მცირე და საშუალო ბიზნესების დახმარების საჭიროებები, გამოკითხული ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების თანახმად

	საქართველო	რიგითობა
მენეჯმენტი	1,80 (1)	მენეჯმენტი
მარკეტინგი/ექტივეტირება	3,10 (4)	მარკეტინგი/ექტივეტირება
ტექნოლოგიის / პროდუქტის განვითარება	2,75 (3)	ტექნოლოგიის / პროდუქტის განვითარება
ფინანსები (ფინანსური განათლება)	2,35 (2)	ფინანსები (ფინანსური განათლება)

დახმარების საჭიროებების შესაბამისობა საკმაოდ ახლოსაა, მაგრამ შეიძლება აღინიშნოს რიგითობა, რომლის მიხედვითაც, ძირითადი საჭიროება მდგომარეობს შემდეგი საკითხების დახმარებაში: მენეჯმენტი, შემდეგ ფინანსები/ფინანსური განათლება, ტექნოლოგიის / პროდუქტის განვითარება და მარკეტინგი, ეტიკეტირების ჩათვლით.

ზოგადი ბიზნეს გარემო

ბიზნესის განვითარების ძირითადი დაბრკოლებები

ბიზნესის მხარდამჭერი ყველა ორგანიზაციისა და პროგრამის მიერ ჩამოთვლილი დაბრკოლებები/ბარიერები

- წესებისა და რეგულაციების განხორციელება მიჩნეული იქნა როგორც ოპტიმალურთან მიახლოებული, ხოლო რეფორმის პროცესი - როგორც ძალიან ხანგრძლივი
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების განხორციელება და პოლიტიკის განხორციელების ინსტიტუციური ჩარჩო განიხილება როგორც პრობლემური
- ზოგადი გეო-პოლიტიკური მდგომარეობა - მიჩნეულია როგორც ძირითადი გამოწვევა ბიზნეს გარემოსთვის
- შეიძლება მოიძებნოს ასოციაციებში გაერთიანების/ორგანიზების სურვილის გარკვეული არქონა
- შესაძლებელია მცირე და საშუალო ბიზნესებთან დაკავშირებული სტატისტიკის გაუმჯობესება
- უცხოური ბაზრების ხელმისაწვდომობა მიჩნეულ იქნა პრობლემურად/სირთულედ
- ფინანსების ხელმისაწვდომობა ნახსენები იყო როგორც ძირითადი დაბრკოლება ფირმებისთვის
- ინოვაციებთან და ახალ ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა, მათ შორის ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასთან, მიჩნეულ იქნა კვაზი-ოპტიმალურად
- ასევე კვაზი-ოპტიმალურად/ოპტიმალურთან მიახლოებულად მიჩნეულ იქნა ბიზნესისა და მეწარმეობის უნარ-ჩვევები
- გადასახადები ძალიან მაღალია
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ასევე მიჩნეული იქნა კვაზი-ოპტიმალურად, თუმცა სხვადასხვა მიზეზებით; საქართველოში - ეკონომიკური მდგომარეობის გამო
- სტრატეგიული ვეროპული პარტნიორების მოძიება დასახელდა სირთულედ
- აღინიშნა კვალიფიციური მუშა ხელის არსებობის სიმცირე/არყოლა
- ბაზრის სიდიდე ძალიან მცირეა
- არ არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესების არანაირი თანმიმდევრული პოლიტიკა, მაგრამ იგი ამჟამად შემუშავების პროცესშია, ხოლო სახელმწიფო დახმარება ამ ბიზნესების მიმართ საქართველოში უკვე ამოქმედებულია, მაშინ როცა უკრაინაში ის პრაქტიკულად არ არსებობს
- მთავრობის დონეზე არ ხდება მცირე და საშუალო ბიზნესების ლობირება
- საქართველოში, აღინიშნა კონკურენციისა და პროდუქტიული ლოჯისტიკის არქონა/სიმცირე

ზოგადი ბიზნეს პერსპექტივები

- რამდენიმე სექტორი მიჩნეულია როგორც საერთაშორისო ვაჭრობისთვის კარგი პოტენციალის მქონე
- საქართველოში არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი
- ქვეყანაში არის გამოსაყენებლად კარგი ადამიანური, ბუნებრივი და მატერიალური რესურსები
- ელექტრონული მმართველობის სისტემის შემოღება დადებითად შეფასდა

- საქართველოში იგრძნობა ზოგადი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება
- საქართველოში ზოგადი ბიზნეს გარემო შეფასდა დადებითად (როგორც კარგი) და კორუფციისგან თავისუფალი, რაც ბიზნესის კეთებას უწყობს ხელს
- საბანკო სისტემა საქართველოში მიჩნეულია როგორც კარგი და მცირე და საშუალო ბიზნესების ხელშემწყობი

ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ზემოქმედება AA/DCFTA შესაბამისობაზე

- სუსტია ცოდნა იმის შესახებ თუ რას საჭიროებენ მცირე და საშუალო ბიზნესები DCFTA-თან შესაბამისობისთვის
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და DCFTA-ის ცოდნა მიჩნეულ იქნა კვაზი-ოპტიმალურად; ხდება დეზინფორმაციის გავრცელება, ძირითადად რუსული პროპაგანდის მიერ
- გარკვეული შიში არსებობს DCFTA-თან შესაბამისობის საინვესტიციო მოთხოვნებთან დაკავშირებით
- არსებობს იმის შიში, რომ კონკურენცია უფრო მკაცრი იქნება, ასევე ქვეყანაში, და რომ ზოგიერთი ნაკლებად კონკურენტული ფირმა ვერ გადარჩება DCFTA-თან ჰარმონიზაციის შედეგად
- სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან ადაპტირება განსაკუთრებულ პრობლემად არის მიჩნეული
- აღინიშნა სათანადო შემოწმებისა და სერტიფიცირების ინფრასტრუქტურის არარსებობა/სიმცირე
- ფირმები ტრადიციულად რუსულ ბაზრებზე ორიენტირდებოდნენ და არსებობს იმის შიში, რომ ევროკავშირის ბაზარზე არ იქნება დსთ-ში წარმოებულ პროდუქტებზე მოთხოვნა
- ფირმებში აღინიშნა წინააღმდეგობა ვინაიდან მოსალოდნელია, რომ DCFTA-ის შედეგად ბიზნესის წარმოება უფრო გამვირდება ეროვნულ კანონმდებლობაში ახალი წესების, რეგულაციების და ინსპექტირების გამო, რაც DCFTA-თან შესაბამისობას მოყვება

AA/DCFTA ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ზემოქმედება AA/DCFTA ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებზე

- მოსალოდნელია, რომ DCFTA დადებით გავლენას იქონიებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე, პროდუქტის სტანდარტებზე, გარემოსდაცვით სტანდარტებზე, სურსათის უვნებლობაზე და სხვ.
- ქვეყანა იმედოვნებს, რომ DCFTA მეტ შესაძლებლობას მოუტანს მცირე და საშუალო ბიზნესებს და გააუმჯობესებს ფირმების კონკურენტუნარიანობას
- ქვეყანას აქვს მოლოდინი, რომ DCFTA-ს მეტი ექსპორტის პოტენციალი მოჰყვება
- ქვეყანა მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას ელოდება DCFTA-ის შედეგად

AA/DCFTA შესაბამისობისთვის არსებული დახმარება და შესაძლებლობების გააზრება

მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერის შესაძლებლობა AA/DCFTA შესაბამისობისა და შესაძლებლობების გაცნობიერების კუთხით

- ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებს შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ DCFTA-თან დაკავშირებული მომსახურების შეთავაზების კუთხით
- შესაძლებლობები ძირითადად დედაქალაქებშია კონცენტრირებული, რის გამოც შეზღუდულია რეგიონების დაფარვა
- როგორც ჩანს საერთაშორისო პალატები მართავენ/მიუძღვიან DCFTA-ის პროცესს, მაგრამ რეალურად არ აღწევენ მცირე და საშუალო ბიზნესებამდე
- საქართველოში, არსებობს რამდენიმე სახელმწიფო სააგენტო, როგორცაა სურსათის ეროვნული სააგენტო და მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლებიც

სთავაზობენ მომსახურებას მცირე და საშუალო ბიზნესებს DCFTA-თან დაკავშირებით, ჯერ კიდევ განსავითარებელი/გასაძლიერებელი შესაძლებლობებით

AA/DCFTA შესაბამისობისთვის არსებული მომსახურება (მაგ. შემოწმებისთვის, სერტიფიცირებისთვის, აუდიტისთვის)

- არსებობს შემოწმებისა და სერტიფიცირების გარკვეული სტრუქტურები, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობებით; მხოლოდ რამდენიმე მათგანი არის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე
- არსებობს სახელმწიფო ლაბორატორიები და კერძო ლაბორატორიების შეზღუდული რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ
- ბევრი საწარმო მოძველებულია და საჭიროებს განახლებასა და გაუმჯობესებას
- საერთაშორისო დონორები ეხმარებიან/ხელს უწყობენ შემოწმებისა და სერტიფიცირების ორგანოების შექმნას
- კონკურენცია აღინიშნა სახელმწიფო და კერძო ლაბორატორებს შორის

AA/DCFTA შესაბამისობისთვის საჭირო დახმარება

პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებისთვის საჭირო დახმარება

- უნდა შეიქმნას საბაზისო სისტემა მარეგულირებელი რეფორმებისთვის
- პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ზეგავლენის მარეგულირებელი შეფასებები ბიზნესებისთვის და პოლიტიკის სავარაუდო/მოსალოდნელი შეფასებები
- მოსამზადებელ კადრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა და გრძელვადიანი ინსტიტუციური ვალდებულება
- დაინტერესებულ პირთა/პარტნიორთა დიალოგმა უნდა შეადგინოს პოლიტიკის წარმოების პროცესის ნაწილი
- დონორებმა უნდა მოახდინონ ქმედებების კოორდინირება და წამოაყენონ სწორი პოლიტიკის წარმართვის მოთხოვნა

ინფორმირებულობა და საინფორმაციო საჭიროებები

- საინფორმაციო კამპანია ჰქვია უნდა იყოს დაგეგმილი
- საინფორმაციო არხები და მასალები შესაფერისი უნდა იყოს
- კამპანიისთვის განკუთვნილი მასალები ადვილად გასაგები უნდა იყოს

გაუმჯობესებული ბიზნეს განვითარების სამსახურებისა და ბიზნეს კავშირების საჭიროებები

- უნდა მოხდეს ფორმების ინფორმირებულობა ბიზნესის განვითარების სამსახურების სარგებლის შესახებ
- უნდა მოხდეს ბიზნესის განვითარების სამსახურების საბაზრო საჭიროებების შემდგომი განვითარება და გაძლიერება
- უნდა მოხდეს ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების/პროგრამების მომზადება, პირველი კლასის მომსახურების უზრუნველსაყოფად
- უნდა მოხდეს ქართველი კონსულტანტების მომზადება და ქოუჩინგი ევროკავშირის კონსულტანტების მიერ
- ბიზნეს პარტნიორობა მომგებიანი უნდა იყოს ყველა მხარისთვის
- ევროკავშირში ექსპორტი ჯერ არ აღიქმება როგორც ვარიანტი ბევრი ფირმისთვის

ტრენინგის საჭიროებები AA/DCFTA-ის შესაბამისობისთვის

- ტრენინგი უნდა იყოს მიზნობრივი
- უნდა მოხდეს ადგილობრივი ტრენერების მომზადება და ქოუჩინგი ევროკავშირის ექსპერტების მიერ
- ტრენინგი უნდა იყოს ფასიანი, რადგან ეს კარგად მუშაობს საქართველოში
- საჭიროა საინფორმაციო კამპანია ბიზნესის განვითარების სამსახურების სარგებლების შესახებ
- უნდა გამოყენებულ იქნას კარგად მომზადებული ტრენერები აღიარებული ინსტიტუტებიდან
- უნდა მოხდეს ტრენინგის ადაპტირება მონაწილეების საჭიროებების გათვალისწინებით
- უნდა მოხდეს DCFTA ტრენინგ პროგრამის ინიცირება

ტექნიკური მომსახურების საჭიროებები (შემოწმება, სერტიფიცირება)

- უნდა იყოს მეტი შემოწმების/სერტიფიცირების საშუალებები
- უნდა მოხდეს უკვე არსებულების განვითარება
- უნდა მოხდეს მათი საერთაშორისო აკრედიტაცია

AA/DCFTA შესაბამისობისთვის ფინანსური საჭიროებები და შესაძლებლობების გააზრება

- საჭირო ტრენინგი ფინანსურ განათლებაზე
- უნდა არსებობდეს შესაძლებლობების ზრდის პროგრამები DCFTA-თან დაკავშირებით ბანკებსა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებში
- მნიშვნელოვანია ნებისმიერი გრანტის განხორციელების მონიტორინგი, მდგრადობის უზრუნველსაყოფად
- საჭიროა სესხის გარანტიის სქემა

დანართი 3: ფინანსური ინსტიტუტების გამოკითხვა/კვლევა

სფერო და დაფარვა

ჩატარდა 5 საფინანსო ინსტიტუტის გამოკითხვა საქართველოში. გარდა ამისა, ჩატარდა გასაუბრებები EBRD-თან და EIB-თან.

მცირე და საშუალო ბიზნესების დაკრედიტების ძირითადი გამოწვევები

სესხის გაცემის/დაკრედიტების ზოგადი გარემო

- მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხის გაცემა მიმზიდველ ბაზარს წარმოადგენს ბანკებისთვის, მაგრამ რთულია ისეთი კლიენტების მოძიება, რომელთაც შეუძლიათ მომგებიანი პროექტების მომზადება
- ბანკები „მცირე და საშუალო ბიზნესების პატნიორებად“ მიიჩნევიან
- თავად ბანკებში არ არსებობს რეალური ლიკვიდურობის პრობლემა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხის გაცემისთვის
- ფინანსური განათლება ზოგადად დაბალია
- ბანკების მიერ აღინიშნა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხის გაცემის დაბალი მოთხოვნა
- სესხი მიჩნეულია, რომ არის ძვირი
- ბევრ მცირე და საშუალო საწარმოს არ აქვს ინფორმაცია საბანკო პროდუქტების შესახებ და არ ესმით ბანკის ლოგიკა (და საჭიროებები)
- გრძელვადიანი, ადგილობრივ ვალუტაში სესხი პრობლემას წარმოადგენს

სასესხო პროდუქტი/განაცხადები

- ბანკები ეხმარებიან მცირე და საშუალო ბიზნესებს სასესხო განაცხადების მომზადებაში, მაგრამ ბანკები ჩივიან, რომ უმეტესი ფირმების ფინანსები ცუდად სტრუქტურირებული ან გაურკვეველი და ბუნდოვანია
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს ნაკლებად დახვეწილი სასესხო პროდუქტი აქვთ ვიდრე ბანკებს; ხშირად კრედიტ ოფიცრები ეწვევიან ფირმებს კლიენტთან ერთად, ადგილზე, სასესხო განაცხადის მომზადების მიზნით
- მიკროფინანსირება ბევრ ბანკში ხორციელდება საცალო ბანკინგის მეშვეობით; საქართველოში რამდენიმე აქტიური მიკროსაფინანსო ინსტიტუტია ბაზარზე

გირაოს რეალიზაცია

- საქართველოს ბანკებისთვის ხელსაყრელი კანონმდებლობა აქვს
- კრედიტებს დიდი გირაო უდევს გარანტად
- გირაოს ამოღება შესაძლებელია აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით, მაგრამ რთული საქმეების შემთხვევაში საჭირო იქნება სასამართლოს ჩარევა
- შესაძლებელია გირაოს რეალიზაციიდან გაწეული ხარჯების ამოღება
- არსებობს გირაოს მყიდველის ბაზარი, რაც ართულებს გირაოს გაყიდვას ბანკებისთვის
- ამოღება სასამართლო სისტემების მეშვეობით ხანგრძლივი პროცესია (6-დან 12 თვემდე)

სესხის შესრულება/მონაცემები

- ბანკების პრობლემური სესხების მაჩვენებელი საქართველოში 1%-ზე ნაკლებიდან 3.9%-მდე; პრობლემური სესხების რიცხვი მცირე ფირმებში უფრო მცირეა ვიდრე უფრო მსხვილ ფირმებში
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტების პრობლემური სესხების მაჩვენებელი ბევრად დაბალია ვიდრე ბანკების მაჩვენებელი

- საპროცენტო განაკვეთი ბანკებში 10-15%-მდე მერყეობს (ბევრ ფირმას კარგი პროექტებით შეუძლია სესხის აღება 10%-ზე ნაკლები საპროცენტო განაკვეთით)
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტები 12%-დან 30%-მდე საპროცენტო განაკვეთს აწესებენ

AA/DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობა

AA/DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობა საფინანსო ინსტიტუტებში

- DCFTA-ის შესახებ ცოდნა ფინანსურ ინსტიტუტებში საკმაოდ მწირია
- ზოგიერთი ბანკი ინფორმირებულია, რომ DCFTA აქტუალური იქნება მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის - უზრუნველყოფს რა ბიზნეს შესაძლებლობებს - მაგრამ ზოგადი ცოდნა ამ ბანკებში კვლავ შეზღუდულია
- ბანკები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები დაინტერესებული იქნებოდნენ მიეღოთ შემდგომი ტრენინგი DCFTA-თან დაკავშირებით, ვინაიდან ბევრმა მათგანმა გააცნობიერა, რომ ბევრი სამომავლო პერსპექტივაა საფინანსო ინსტიტუტებისთვის

AA/DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობა მცირე და საშუალო ბიზნესებში

- ყველა საფინანსო ინსტიტუტს მიაჩნია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესების ინფორმირებულობა, ცოდნა და მენეჯმენტი, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობები, DCFTA-თან დაკავშირებით, საკმაოდ შეზღუდულია

ფინანსური ინსტიტუტების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა AA/DCFTA განხორციელებასთან დაკავშირებით

- ფინანსური ინსტიტუტების უმრავლესობა არ იყო ინფორმირებული DCFTA-ის და ფორმებზე მისი გავლენის შესახებ; თუმცა, ზოგიერთი ბანკი ატარებს საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, DCFTA-თან დაკავშირებით, გარეშე ექსპერტიზის გამოყენებით
- ყველა გამოკითხულ ბანკს სურს DCFTA ტრენინგის ჩატარება ფინანსური ინსტიტუტებისთვის

ზოგადი ბიზნეს გარემო

ბიზნესის განვითარების ძირითადი დაბრკოლებები

- ზოგადი გეო-პოლიტიკური სიტუაციაა - და უკრაინულ-რუსული კონფლიქტი - მიჩნეულია როგორც მთავარი გამოწვევა ბიზნეს გარემოსთვის
- პოლიტიკური არასტაბილურობა და რუსული ემბარგო მიჩნეულია პრობლემად
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და პოლიტიკის განხორციელების ინსტიტუციური ჩარჩო მიჩნეულია პრობლემურ საკითხად
- ნახსენები იყო გაუმჯობესების საჭიროება, კანონის აღსრულების კუთხით
- მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის მარეგულირებელი ჩარჩო მიჩნეულ იქნა კვაზი-ოპტიმალურად; საქართველოში, ეს უფრო ეხებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის არარსებობას, როგორც ასეთის
- აღინიშნა ფინანსების ხელმისაწვდომობის სიმცირე, მაგრამ ხშირად ითქვა, რომ ეს უფრო რეალური ფინანსების ხელმისაწვდომობას და არა არსებობას ეხებოდა
- ბაზრის ზომა/სიდიდე იყო მიჩნეული პრობლემად
- ჩრდილოვანი ეკონომიკა იქნა დასახელებული პრობლემად
- ბიზნეს და ფინანსური უნარ-ჩვევების ნაკლებობა მცირე და საშუალო ბიზნესებში ხშირად დასახელებული იყო როგორც შემაფერხებელი ფაქტორი

- არ ხდება მცირე და საშუალო ბიზნესების ლობირება სამთავრობო დონეზე

ზოგადი ბიზნეს პერსპექტივები

- საქართველოში იგრძნობა, რომ ზოგადი ბიზნეს გარემო უმჯობესდება
- საქართველოში ზოგადი ბიზნეს გარემო დადებითად, კარგად და არაკორუმპირებულად იქნა შეფასებული, რაც ბიზნესის კეთებას უწყობს ხელს

ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს დაბრკოლებების გავლენა AA/DCFTA შესაბამისობაზე

- აღინიშნა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესების უმრავლესობა ჯერ არ არის ინფორმირებული DCFTA-ის მათ ფორმებზე გავლენის შესახებ
- მოსალოდნელია, რომ ფორმებს DCFTA-თან შესაბამისობა ძვირი დაუჯდებათ ვინაიდან საჭირო იქნება დიდი ინვესტიციები ევროკავშირის სტანდარტებთან ადაპტირებისთვის

ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს დაბრკოლებების გავლენა AA/DCFTA ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებზე

- მოსალოდნელია, რომ DCFTA-ს დადებითი გავლენა ექნება ბიზნეს გარემოზე
- მოსალოდნელია, რომ DCFTA ხელს შეუწყობს ქვეყნის მოდერნიზაციას
- მოსალოდნელია, რომ DCFTA გახსნის ახალი ბაზრების შესაძლებლობებს
- მოსალოდნელია, რომ DCFTA უზრუნველყოფს/გახსნის ფორმების ხელმისაწვდომობას ახალ ტექნოლოგიებზე და ინოვაციებზე.